ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ღარიბაშვილმა სააკაშვილს პოროშენკოსთან უჩივლა






გვ.2

სამშაბათი, 3 ნოემბერი, 2015 №258 (6878) ფასი: 30 თეთრი

# ნიკა გვარამია იმედსა და პირველ არხს ემუქრება

## ახალი ჩანაწერი, ახალი სკანდალი

გვ.4









## „სააკაშვილი სანამ ახალ უკრაინას შექმნის, მანამდე აქ პარტია თავზე დაემხობა“



გვ.4



რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების რიგებს სხვებიც დატოვებენ“

## დაპირისპირება მთავრობაში

გვ.3



კახა კალაძე გელა დუმბაძის წინააღმდეგ



## ნინო ბურჯანაძე: „ეს არის ბრძოლა რუსთავი 2-ის წინააღმდეგ“

### „საკონსტიტუციომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო“



საკონსტიტუციო სასამართლომ რუსთავი 2-ის სარჩელი წარმოებაში მიიღო და საქმის დაუყოვნებლივ აღსრულების ნორმის ამოქმედება შეაჩერა გადაწყვეტილების მიღებამდე.

გადაწყვეტილება გუშინ, 2 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გამოაცხადა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ტელეკომპანიის ადვოკატებმა სარჩელით 26 ოქტომბერს მიმართეს.

ტელეკომპანიის უფლებადამცველები იმ მუხლების გაუქმებას ითხოვდნენ, რომლებიც დაუყოვნებლივ აღსრულებას ითვალისწინებს.

რუსთავი 2-ის იურისტები ფიქრობენ, რომ საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლები წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მუხლებთან, რის გამოც მათ არ ეძლევათ საშუალება, კონსტიტუციურად მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით ისარგებლონ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გუშინვე გამოეხმაურა გაერთიანებული დემოკრატების ლიდერი ნინო ბურჯანაძე.

– ეს გადაწყვეტილება არის აბსოლუტურად სწორი, საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უნდა მიეღო. ეს არ არის სამართლიანობის აღდგენა და ვინმესთვის ქონების დაბრუნების მცდელობა „ქართული ოცნებიდან“. სრულიად ნათელია, რომ ეს იყო ბრძოლა რუსთავი 2-ის, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი რუსთავი 2-ის, მაგრამ მაინც ტელევიზიის წინააღმდეგ, – აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

გვ.3



## მურმან დუმბაძე: „ქიბარ ხალვაშს ჯერ სხვა ქონება დაუბრუნონ და მერე მიადგნენ რუსთავი 2-ს“



## ია ანთაძე: „ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ რუსთავი 2-ის მფლობელი შეიცვალოს“

გვ.5



ის ამბავი, რომ ფულს სთხოვს ნიკა გვარამია მიხეილ სააკაშვილს, ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი, ემიჯნები და გაემიჯნები, ეს ადვილია, მაგრამ შემდეგ რანაირად უნდა იარსებოს ამ ტელევიზიამ?! ის მითი, რომ ტელევიზია არსებობდა სარეკლამო შემოსავლებით, მე პირადად რეალობად არასდროს მიმაჩნდა! მე ვხედავდი, რომ არც ერთი ტელევიზია ასეთ შედეგს არ დადებს დამატებითი სტიმულების გარეშე

ISSN 1987-9385

## სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო

გვ.2

დაიკითხება ყველა ის პირი, რომლის ჩვენებას გამოძიება საჭიროდ მიიჩნევს

# ღარიბაშვილმა სააკაშვილს პოროშენკოსთან უჩივლა

შორენა მარსაგიშვილი

უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებულმა ფარულმა ჩანაწერებმა შესაძლოა თბილისსა და კიევს შორის სიტუაცია გაამწვავოს. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამასთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს უსტარი აახლა.

საგანგებოდ დაწერილ წერილში საქართველოს მთავრობის მეთაური შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბარი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილ ხელმძღვანელთან და ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორთან, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებსა და ანტისახელმწიფოებრივი, ძალადობრივი ქმედებებისკენ კონკრეტულ მოწოდებებს შეიცავს.

პრემიერ-მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავსი ქმედებები საქართველოსა და უკრაინის მეგობრულ ურთიერთობებს არ შეეფერება.

ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ ამ მოწოდებებმა, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საქართველოში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და უკრაინის პრეზიდენტს აღნიშნული საკითხით დაინტერესების თხოვნით მიმართავს.

თბილისიდან უკრაინაში გაგზავნილ წერილს სახელისუფლებო გუნდი დადებითი ემოციით შეხვდა, ნაციონალებმა კი ჩაიქირქილეს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილს აინტერესებს, რას ფიქრობს უკრაი-



ნის პრეზიდენტი იმაზე, თუ როგორ ერევა მისი პოლიტიკოსი სხვა ქვეყნის საქმეებში.



გია ვოლსკი

სახელმწიფო მინისტრის თქმით, ოფიციალურ კიევს მათი პოლიტიკოსის ქცევებთან დაკავშირებით განმარტების გაკეთება მოუწევს.

**პაატა ზაქარეიშვილი:**

– პირველად არ ხდება, როცა უკრაინის ერთ-ერთი პოლიტიკური ფიგურა, ვინმე ბატონი სააკაშვილი, უხეშად ერევა საქართველოს საქმეებში და არ ჩანს, ეს მისი პოზიციაა თუ უკრაინის ხელისუფლების. ამიტომ მეც მაინტერესებს, რას ფიქრობს უკრაინის პრეზიდენტი იმაზე, თუ როგორ ერევა მისი პოლიტიკოსი სხვა ქვეყნის საქმეებში. ბატონი სააკაშვილის მოქმედებები აბსოლუტურად ყველა საზღვარს სცილდება. გონივრულს, მორალურს, სამართლებრივ, პოლიტიკურ საზღვრებს სცილდება და მე მგონი, უკრაინის ხელისუფლებას მოუწევს კომენტარის გაკეთება, თუ როგორ აფასებენ ისინი თავიანთი პოლიტიკოსის ქცევებს.



პაატა ზაქარეიშვილი

უკრაინის ხელისუფლებასთან



კითხვები აქვს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერ გია ვოლსკისაც.

ვოლსკის აზრით, უკრაინის ხელმძღვანელობამ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიმართ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს.

ფრაქციის თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ სააკაშვილის გამო ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში რთული ვითარება შეიქმნას.

**გია ვოლსკი:**

– ჩვენ მიერ მომზადებული წერილი საქმიანია, ის ქართულ-უკრაინული ურთიერთობების განვითარების ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ითვალისწინებს და ასევე ეხება უკრაინის უსაფრთხოებას, რადგან სააკაშვილის საუბრები და აქტივობა რამდენიმე ასპექტს მოიცავს. მას ურთიერთობების ჩაგდება რამდენიმე მნიშვნელობით შეუძლია.

სააკაშვილის ქმედებებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა აქვს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილსაც.



ირაკლი სესიაშვილი

კოლეგების მსგავსად, არც ის გამორიცხავს, რომ კიევსა და თბილისს შორის შესაძლოა ურთიერთობები დაიძაბოს. ამ ფონზე ის ირაკლი ღარიბაშვილის იდეას იწონებს.

**ირაკლი სესიაშვილი:**

– ჩვენ ყოველთვის ვიყავით უკრაინის გვერდზე და ვიქნებით მომავალშიც, მაგრამ ვიღაც მიხეილ სააკაშვილმა თავისი ავანტიურებით ამ საქმეს ხელი არ უნდა შეუშალოს. შესაბამისად, ის, ძალიან კონსტრუქციული წერილი, რაც პრემიერმა გაუგზავნა პოროშენკოს, არის ადეკვატური და იმედი გვაქვს, რომ ამაზე უკრაინის ხელისუფლებას ექნება რეაგირება.

პრემიერის პათოსს იზიარებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. როგორც მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, პოროშენკომ უნდა მოახდინოს რეაგირება სააკაშვილის განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთაც ის საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აკეთებს.

წულუკიანის მტკიცებით, ნაპრეზიდენტალი და ნაციონალური მოძრაობა, ხელისუფლებაში დაბრუნების სანაცვლოდ, ქვეყანაში სისხლისღვრასაც არ მოერიდებიან.

ამ თემებზე წულუკიანს უკრაინელ კოლეგებთან ადრეც ჰქონია საუბარი. თუმცა, ეტყობა, მაშინ მათი დარწმუნება ვერ შეძლო.

– კიევში ოფიციალური ვიზიტით როცა ვიყავი, უკრაინელ მაღალჩინოსნებს მაშინაც ვუთხარი, რომ წარმოუდგენელი იქნებოდა საქართველოში უკრაინის მოქალაქე იყოს მაღალჩინოსანი და უკრაინის წინააღმდეგ რაიმე ტიპის განცხადებებს აკეთებდე-მეთქი. ისინი მიხვდნენ, რასაც ვგულისხმობდი და გაიკვირვეს, – აღნიშნავს იუსტიციის მინისტრი.

მისი განმარტებით, ამ დღეებში უკრაინელებმა დაინახეს, რომ საქართველოდან წასული ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ახლა უკრაინაში ერთ-ერთი მხარის გუბერნატორია, საქართველოს წინააღმდეგ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებს.

**თეა წულუკიანი:**

– სააკაშვილის მიდგომა ძალადობისკენ არის მიმართული და მიმართულია იქითკენ, რომ ოღონდაც



თეა წულუკიანი

კი გაზარდონ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსები, ნაციონალური მოძრაობა თავისი ხელმძღვანელით, არ მოერიდება იმას, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში სისხლისღვრას. ამაზე უკრაინის პრეზიდენტმა და ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს რეაგირება. რა იქნება ეს, ამის მრჩევლად ჩვენ ვერ გამოვდგებით.

ყოფილი მეოცნებე და საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი მაია ფანჯიკიძე ხელისუფლებას ოფიციალურ კიევთან მეტი კონტაქტების დამყარებას ურჩევს.

**მაია ფანჯიკიძე:**

– უკვე წელიწადნახევარია, გვესმის, რომ უკრაინაში პრემიერ-მინისტრის ვიზიტი უნდა შედგეს, მაგრამ ეს არ მომხდარა. ეს ძალიან ცუ-



მაია ფანჯიკიძე

დია. როგორც ჩანს, ურთიერთობა ძალიან დაბალ ნიშნულზეა დაყვანილი და, უპირველესად, ეს უნდა გამოსწორდეს. წერილი კარგია, მაგრამ საჭიროა აქტიური ურთიერთობები ერთმანეთთან.

* * *

კიევში გაგზავნილი წერილის გამო მთავრობის მეთაური ნაციონალებმა მწარედ გააკრიტიკეს.

ნაცმოძის ერთ-ერთი ლიდერი აკო მინაშვილი მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნება“ უკრაინაში არასწორ მესიჯებს აგზავნის. მან პრემიერს ძველი ცოდვებიც გაუხსენა.

– როდესაც იანუკოვიჩი ძალადობდა უკრაინელ ხალხზე, მაშინ პრემიერმა ღარიბაშვილმა იანუკოვიჩის მხარე დაიჭირა, როდესაც რუსეთი ახორციელებს აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაშიც, ღარიბაშვილმა რუსეთის პოზიცია დაიჭირა და დაუპირისპირდა უკრაინელების რეალურ პოზიციას, – განაცხადა დეპუტატმა.

მისი თქმით, უკრაინაში თბილისიდან გაგზავნილ წერილს ყურადღებას არავინ მიაქცევს, რადგან კიევში ღარიბაშვილის სიტყვას ფასი არ აქვს.

**აკო მინაშვილი:**

– „ქართული ოცნება“ არის ხელისუფლება, რომელმაც პრობლემები შექმნა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან, ამ შემთხვევაში უკრაინასთან და ეს არის მთავრობა და პრემიერი, რომელიც მოუწოდებდა საქართველოს მოქალაქეებს ძალადობისაკენ. ამიტომ ცხადია, რომ მის სიტყვას არავინ სერიოზულად არ მიიღებს, თავად პრემიერი არის არასერიოზული და თავად არის ადამიანი, რომელიც ყველანაირად ქმნის პრობლემებს და წინაღობებს.



აკო მინაშვილი

# სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო

## დაიკითხება ყველა ის პირი, რომლის ჩვენებას გამოძიება საჭიროდ მიიჩნევს




2015 წლის 24 ოქტომბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს შეთქმულებას სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად.

გამოძიების ფარგლებში, ტარდება ყველა შესაბამისი ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედება, მიმდინარეობს გამოძიების ხელთ არსებული მნიშვნელოვანი ოპერატიული ინფორმაციის შესწავლა. ასევე მოწმდება საქმესთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია, დაიკითხება ყველა ის პირი, რომლის ჩვენებას გამოძიება საჭიროდ მიიჩნევს.

მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებების გაკეთებისა და ინფორმაციის გავრცელებისგან, რომელიც არის მიმართული საზოგადოებრივი აზრის არასწორი ფორმირებისკენ.

აღნიშნული განცხადებების მიუხედავად, გამოძიება აგრძელებს ყველა საჭირო ღონისძიების გატარებას საქმეში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. საქმის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საზოგადოებას დამატებით აცნობებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მურმან დუმბაძე: „ქიბარ ხალვაშს ჯერ სხვა ქონება დაუბრუნონ და მერე მიადგნენ რუსთავი 2-ს“

## „სააკაშვილი ჩანაწერებში ტელევიზიის დაცვაზე საუბრობს“

შორენა მარსაგიშვილი





რა შეცდომა დაუშვა მიხეილ სააკაშვილმა, არის თუ არა მისი განცხადება ძალადობისკენ მოწოდება, ვინ აპირებს პარტიის დატოვებას, რითი ვაჭრობს ხელისუფლება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

**მურმან დუმბაძე:**

– ყველა მოსალოდნელი დაპირისპირების მოლოდინშია. ახლა ქვეყნის მთავარი ამოცანა მშვიდობის შენარჩუნებაა, ამიტომაც ყოველგვარ ძალადობას უნდა გავემიჯნოთ. ოღონდ სამართლიანობა თუ არ აღდგა, ყველამ იცოდეს, მშვიდობა არ იქნება.

სააკაშვილის ცნობილი განცხადება, რომელიც რუსთავი 2-ის დაცვისკენ არის მიმართული, შეიცავს მოწოდებას ძალადობისკენ და ის ჩემთვის მიუღებელია. მეორე მხარეა, რომ ხელისუფლება ფარულ ჩანაწერს შანტაჟისთვის იყენებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ ხელისუფლებაშიც ვერ არის კარგად საქმე. ორივე მხარე გადის კანონის მიღმა და სიტუაციის დაძაბვაზე ორივეს ეკისრება პასუხისმგებლობა. დანარჩენი პროკურატურამ უნდა გამოიძიოს.

რუსთავი 2-ის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ადგილზე პირადად მე სულ სხვანაირად დავიცავდი ჩემს საკუთრებას. ივანიშვილის და ღარიბაშვილის წყალობით, ჩემს კერძო საკუთრებასაც დაემუქრა საფრთხე.

***– როდის და რა საფრთხე დაემუქრა თქვენს კერძო საკუთრებას?***

– როდესაც „ქართული ოცნება“ დავტოვე, ირაკლი ღარიბაშვილმა მოღალატე მიწოდა. იმ პერიოდში კოალიციიდან სხვებიც წამოვიდნენ და ამ ადამიანების კერძო საკუთრებებზე გაჩნდა წარწერები „მოღალატე“. პრემიერის განცხადების შემდეგ დაანონსდა, რომ ჩემს კერძო საკუთრებაზეც აპირებდნენ ანალოგიური წარწერის გაკეთებას.

როგორც კი ეს განცხადება გაკეთდა, მივმართე ხელისუფლებას, რომ მომხდარიყო ჩემი საკუთრების დაცვა. ხელისუფლებამ არაფერი რომ არ იღონა, იძულებული გავხდი, შევიძინა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთანაც ყოველთვის ცივი დამოკიდებულება მაქვს.

***– ბატონო მურმან, რუსთავი 2-ის დამცველებს იარაღის შეძენისკენ მოუწოდებთ?***

– არავითარ შემთხვევაში. სააკაშვილს, თუ მას მართლა რუსთავი-2-ის დაცვა სურდა, მის დაცვასთან დაკავშირებით საჯარო განცხადება უნდა გაეკეთებინა. მას ოფიციალურად უნდა მიემართა ხალხისთვის, რომ საკუთარი ძალებით დაეცვათ კერძო საკუთრება.

***– საკუთარი ძალებით დაცვაში რას გულისხმობთ?***

– ეს არის მიტინგები, ბარიკადები, გამოსვლები. საკუთრების დაცვა ნებისმიერი საშუალებით შეიძლება. ასე რომ მოქცეულიყო, ვერავინ მოედავებოდა. მიზნის მიღწევა თუ სურდა, ჩემსავით საჯაროდ უნდა განეცხადებინა ყველაფერი. მეც ვთქვი, რომ თუ ვინმე შეეხებოდა ჩემს კერძო საკუთრებას, ცეცხლს გავუხსნიდი. ამაზე არც საქმე აღუძრავთ ჩემ წინააღმდეგ და არც პროკურატურაში დავუბარებივარ დაკითხვაზე.

***– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, სააკაშვილის განცხადება არ შეიცავდა ძალადობისკენ მოწოდებას.***

– სააკაშვილის მომხრე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ის სამოქალაქო დაპირისპირებისკენ არავის მოუწოდებს. ის კერძო საკუთრების დაცვაზე საუბრობს და არავის მოუწოდებს, ვინმეს თავს დაესხათო.

მისი აზრით, საჭირო თუ გახდა, საქმეში კუნთმაგარი ბიჭებიც უნდა ჩაერთონ. როცა სახელმწიფო არ იცავს საკუთრებას, მისი დაცვა ხალხის დახმარებით უნდა მოხდეს.

***– სროლაზე რომ არის საუბარი ფარულ ჩანაწერში, ამაზე რას იტყვით?***

– ის არსად არ ამბობს, ჩვენ უნდა ვისროლოთო. ყოფილი პრეზიდენტის თქმით, როცა რუსთავი 2-ში აღსრულების პოლიცია მივა, შესაძლოა, ამას სროლა მოჰყვეს და ჩვენ უნდა გავუძლოთო.

ეს განცხადებები მას საჯაროდ რომ გაეკეთებინა, მსგავსი რეაქცია არ იქნებოდა. როცა ასეთი განცხადებები ჩუმად კეთდება, მაშინ, ბუნებრივია, იბადება ეჭვი, რომ განზრახვა ტელეკომპანიის დაცვა არ არის.

***– ანუ თქვენც ფიქრობთ, რომ სააკაშვილის განზრახულობა სინამდვილეში სხვა რამე იყო?***

– ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. აქვთ რაღაც ეჭვები? კეთილი ინებონ და გამოიძიონ. მე მგონია, რომ ის რუსთავი 2-ის დაცვისკენ მოუწოდებდა მომხრეებს.

***– თქვენგან განსხვავებული პოზიცია აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით ყოფილ ნაციონალებს. ზურაბ ჯაფარიძე ამბობს, რომ სააკაშვილის მხრიდან სხვა დროსაც იყო ასეთი მოწოდებები და პარტიიდან წამოსვლის ერთ-ერთ მიზეზად ესეც დაასახელა.***

– ზურაბ ჯაფარიძე და კიდევ 3 ყოფილი ნაციონალი პარტიიდან რამდენიმე თვის წინ წამოვიდნენ. მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც იმავე აზრზე ვარ, რომ ისინი სააკაშვილის დაცემულ რეიტინგს გაემიჯნენ. ამაში განსაკუთრებული არაფერი არ არის.

თავიდან მათ გადაწყვეტილებას ვიღაც ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ ამ ფარული მოლაპარაკებების შემდეგ მათი პოზიცია უფრო გასაგებია. მართალია, კერძო საკუთრების დაცვაზე მიდის საუბარი, მაგრამ იქ ძალის გამოყენებაზეც ლაპარაკობენ.

***– ამ ჩანაწერების გავრცელების შემდეგ ნაციონალები დაბნეულები არიან. როგორც ამბობენ, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე ადამიანი გაემიჯნოს პარტიას. თქვენ ამის შესახებ ფლობთ რაიმე ინფორმაციას?***

– სააკაშვილს ნაციონალების ნაწილი აუცილებლად გაემიჯნება. არავის არ მოეწონა, როცა ძალის გამოყენებაზე ფარულად მიდიოდა საუბარი. რამდენადაც მე ვიცი, პარტიას კიდევ რამდენიმე დეპუტატი დატოვებს.

***– ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ? სანდოა?***

– ინფორმაცია თავად ნაციონალებისგან მაქვს.

***– ნაციონალებთან მეგობრობთ, ბატონო მურმან?***

– ამას მეგობრობას ვერ დავარქმევ. მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი. შესაბამისად, ჩემს კოლეგებთან მაქვს ნორმალური ურთიერთობა. ეს ეხება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, ასევე ნაციონალებს. მათგან ვიცი, რომ სააკაშვილის მიერ ფარულად გაკეთებული განცხადებებით უკმაყოფილება დიდია და პარტიას ბევრი ნაციონალი გაემიჯნება.

***– თქვენი აზრით, მათი ქმედება გამართლებული იქნება?***

– ამის გამო ვერავის გავამტყუნებ. ძალადობისკენ მოწოდება ყველასთვის მიუღებელია.

***– თქვენ რამდენჯერმე აღნიშნეთ, რომ სააკაშვილის მოწოდება კერძო საკუთრების დაცვისკენ არის მიმართული. თუ ასეა, რატომ უნდა გაემიჯნონ მას პარტიელები?***

– იმიტომ უნდა გაემიჯნონ, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა ეს განცხადება ფარულად გააკეთა. ძალადობისკენ მოწოდება მისასალმებელი არ არის. თუმცა მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს რუსთავი 2-ის დაცვა.

***– ვისგან უნდა მოხდეს მისი დაცვა, ქიბარ ხალვაშისგან?***

– ქიბარ ხალვაშის მიმართ არაფერი მაქვს საპრეტენზიო, მაგრამ მაინტერესებს, რატომ მაინცდამაინც რუსთავი 2-ს უბრუნებენ? სააკაშვილის ხელისუფლებამ მას სხვა ბიზნესებიც წაართვა. ჯერ ის ბიზნესები დაუბრუნონ და მერე მიადგნენ რუსთავი 2-ს.

ამ საქმესთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ გამიჩნდებოდა, ხელისუფლებას ყველასთვის რომ დაებრუნებინა წართმეული ქონება.

# დაპირისპირება მთავრობაში

## კახა კალაძე გელა დუმბაძის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი





გაზპრომის გამო საქართველოში არაერთხელ ატყდა პოლიტიკური წივილ-კივილი. რუსული გაზის თემამ საქართველოს მთავრობის წევრებიც დააპირისპირა. ერთმანეთს ენერგეტიკის და დიასპორების მინისტრები დაუპირისპირდნენ.

სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა დუმბაძე საქართველოს ხელისუფლებასა და გაზპრომს შორის მიმდინარე პროცესებს ნეგატიურად აფასებს.

ამ შეფასებამ ქართული ენერგეტიკის მოქმედი მამა კახა კალაძე განარისხა. მისი თქმით, დუმბაძემ უფრო მეტი უნდა წაიკითხოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადებები და გაზპრომთან დაკავშირებით კითხვები აღარ გაუჩნდება..

დუმბაძის გარდა, ეტყობა, მეოცნებეთა რიგებში სხვებსაც აღიზიანებს გაზპრომთან დაწყებული კურკური.

– ჩვენდა სამწუხაროდ, არის გარკვეული კატეგორია ადამიანებისა, მე მათ გაკოტრებულ პოლიტიკოსებს ვუწოდებ, რომლებიც რაღაცნაირად ცდილობენ მოსახლეობას თავი შეახსენონ. თქვენ იცით, რომ მომავალ წელს საპარლამენტო არჩევნები მოდის და ამ თემის ირგვლივ გარკვეული მანიპულირება მოხდება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კალაძემ.

გელა დუმბაძის მიერ გაზპრომის დაგმობას ვიცე-პრემიერი ასე აფასებს:

– არაერთხელ აღვნიშნე და თქვენც ესწრებოდით იმ პრეზენტაციას, რომელიც წარმოვადგინე, თუ რა ურთიერთობები იყო წლების განმავლობაში, რა მოცულობის გაზს ვიღებდით, ვიღებთ და მომავალშიც მივიღებთ. მან ალბათ უფრო მეტად უნდა წაიკითხოს ის განცხადებები, რომლებიც ენერგეტიკის სამინისტროსა და კონკრეტულად მინისტრის მხრიდან იყო გაკეთებული და კითხვა არ დარჩება.

რუსული გაზით შეშინებულ საზოგადოებას და პოლიტიკოსებს მინისტრი ამშვიდებს და ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

კალაძის თქმით, გაზპრომის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები გრძელდება და ჯერ ისიც არაა გარკვეული, რა ფასად მოუწევთ კომერციულ ორგანიზაციებს გაზპრომის გაზის შეძენა. მინისტრი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ეს ფასი აზერბაიჯანულ გაზზე მაღალი არ იქნება.

– გიჟი არავინ არ არის, იმაზე ძვირიანი გაზი შემოიტანოს, ვიდრე დღეს გვაქვს, – აღნიშნა ენერგიულმა მინისტრმა.

* * *

კალაძის და დუმბაძის შესაძლო დაპირისპირების ცოცხალი თავით არ სჯერა დუმბაძის მოადგილეს.

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის სანდრო ბრეგაძის განცხადებით, გაზპრომთან დაკავშირებით მინისტრ გელა დუმბაძის პოზიცია იგივეა, რაც მთლიანად სამთავრობო გუნდის.

მისი მტკიცებით, დუმბაძის სიტყვების არასწორი ინტერპრეტირება მოხდა, რამაც უსაფუძვლო აჟიოტაჟი გამოიწვია.

– მინისტრს პირადად ვესაუბრე. გამოიკვეთა ის, რომ ბატონი დუმბაძის განცხადების არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა, რადგან მისი მხრიდან არ იყო საუბარი გაზპრომთან ურთიერთობის აკრძალვაზე. ბატონი კალაძეც და ბატონი დუმბაძეც, პრემიერ ღარიბაშვილთან ერთად, არიან „ქართული ოცნების“ გუნდის წევრები და მათ მოსაზრებებში რაიმე კარდინალური განსხვავება არ არის და ვერც იქნება. ბატონი დუმბაძე, რომელიც ამჟამად უცხოეთში იმყოფება ოფიციალური ვიზიტით, ჩამობრძანდება და უკეთ გააკეთებს განმარტებებს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ბრეგაძემ.

ბრეგაძისგან ოდნავ განსხვავებული პოზიცია აქვს გელა დუმბაძეს. მინისტრი „რეპორტიორთან“ საუბრისას ამბობს, რომ მის მიერ დაფიქსირდა ნეგატიური დამოკიდებულება გაზპრომთან მოლაპარაკებების პროცესში არსებულ არასაკმარის კომუნიკაციაზე.

**გელა დუმბაძე:**

– აღინიშნა, რომ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე იყო დაბალი, რამაც საკითხის სხვადასხვა ინსინუაცია და პოლიტიკური სპეკულაცია გამოიწვია. აღნიშნული არანაირად არ შეიძლება დაკავშირებულ იქნას მმართველი გუნდის განსხვავებულ და არაერთიან ხედვასთან.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „სააკაშვილი სანამ ახალ უკრაინას შექმნის, მანამდე აქ პარტია თავზე დაემხობა“

## რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალების რიგებს სხვებიც დატოვებენ“

ნათია ხურცილავა






პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ სააკაშვილმა მისი თანაგუნდელების თვალში ლიდერის პოზიციები დათმო. ის ამბობს, რომ ფარული ჩანაწერები გავლენას იქონიებს არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებზე, არამედ გუნდზეც.

***— ბატონო რამაზ, მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურა დაიწყო.***

— ვერ გეტყვით ეს რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა. მე ვისურვებდი, რომ ამ პროცესს უფრო დაუფიქრდნენ, რადგან ამ მიმართულებით მოძრაობამ შეიძლება სააკაშვილი ანტიგმირიდან ისევ ჩაგრულის, დევნილის პოზიციაზე დააბრუნოს.

***— თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებამ ივანიშვილს მოქალაქეობა შეუწყვიტა და ამას დიდი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა მაშინ.***

— ახლა ნამდვილად არ ექნება ასეთი დიდი დატვირთვა, მაგრამ მაშინ ივანიშვილის ფიგურას მოქალაქეობის შეწყვეტამ დიდი ძალა შესძინა. კი არ დაასუსტა, პირიქით, გააძლიერა. ეს იყო სააკაშვილის დიდი შეცდომა. ახლა ანალოგიური შეცდომის განმეორებას ამ ხელისუფლებას არ ვურჩევდი.

***— ფარული ჩანაწერები ნაციონალების რეიტინგზე როგორ იმოქმედებს?***

— გავლენას უდავოდ იქონიებს, წესით, აღარ უნდა იყოს ისეთი ერთგულება გამოხატული, როგორიც ადრე იყო. მაგრამ მე უფრო სხვა რაღაცაზე მინდა ყურადღება გავამახვილო.

***— კონკრეტულად?***

— ეს ჩანაწერები გავლენას იქონიებს თვითონ პარტიის შიგნითაც.

***— შესაძლებელია, ამ მოტივით კიდევ ვინმემ დატოვოს პარტია?***

— დიახ, სწორედ ეს ვიგულისხმე. გახსოვთ, ოთხმა წევრმა როდესაც დატოვა ნაციონალური მოძრაობა, ჩვენ ბევრი რამ მაშინ ვერ გავიგეთ. მერე მოგვიანებით ერთ-ერთმა მათგანმა დაწერა, ახლა კიდევ გიკვირთ, რატომ დავტოვე ნაციონალური მოძრაობაო.

***— ვინ შეიძლება კიდევ დატოვოს ნაციონალური მოძრაობა?***

— ეს რთული სათქმელია, მაგრამ უახლოეს მომავალში მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ასეთი დემარშის მოწმენი გავხდეთ. ეს უკვე სააკაშვილმა საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. სააკაშვილი იქ სანამ ახალ უკრაინას შექმნის, მანამდე შეიძლება აქ პარტია თავზე დაემხოს.

***— მთლად ასე შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— თუ კიდევ გამოქვეყნდება მსგავსი ჩანაწერები, არაფერი არ არის გამორიცხული. თუ გავიხსენებთ ამ ჩანაწერებში არსებულ დიალოგებს, ვნახავთ, რომ გვარამია და ბოკერია ძირითადად მსმენელის როლში არიან და ინიციატივებით არ გამოდიან. ინიციატივა მხოლოდ სააკაშვილისგან მოდის. ყოფილი პრეზიდენტი დიპლომატებს, პარტნიორი ქვეყნების მაღალჩინოსნებს მოიხსენიებს იდიოტ უცხოელებად. არც ბოკერია და არც გვარამია ამის უფლებას საკუთარ თავს არ მისცემდნენ, მაგრამ ამის უფლებას აძლევს თავს სააკაშვილი.

***— რატომ?***

— ამით იმის ხაზგასმასაც აკეთებს, რომ ის არის ყველაფერი, თუნდაც სახელმწიფო დეპარტამენტის უმაღლესი რანგის მოღვაწეც კი არაფერს წარმოადგენს მისთვის.

***— გამოდის, თანხვედრაში არ არიან ლიდერი და პარტიის დანარჩენი წევრები?***

— სწორედ ასეა, მაგიტომაც ვვარაუდობ, რომ მათ რიგებს კიდევ ბევრი გამოაკლდება. ეს ადამიანები კარგად ხედავენ, რომ სააკაშვილი სწორედ მათ უშვებს სამსხვერპლოზე და არა — საკუთარ თავს.

აქ უკვე ფსიქოლოგიური ფაქტორი ერთვება — თუ ლიდერი უარს ამბობს, თავი გაწიროს და სამსხვერპლოზე სხვას უშვებს, ის უკვე კარგავს ლიდერის პოზიციებს დანარჩენი ადამიანების თვალში. ამ დროს ინგრევა გმირის პორტრეტი და სავსებით სამართლიანადაც. ცხოველებშიც კი, როდესაც ჯოგის ლიდერი შეუფერებლად მოიქცევა, დანარჩენები მას პოზიციებს ათმობინებენ.

***— შეიძლება თანაგუნდელებმა ლიდერის ფუნქცია ჩამოართვან სააკაშვილს?***

— ეს მოხდება თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ რადგან ის მასზე ქვევით მყოფებს სწირავს, ის უკვე აღარ არის იმ ადამიანებისთვის მისაბაძი ლიდერი. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ აქ უკვე ჩაირთოს პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, როგორიც არის ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება და საჭიროება.

***— ამ ადამიანებსა და სააკაშვილს ერთმანეთი სჭირდებათ?***

— ასეა. მათ ერთმანეთი სჭირდებათ. პოლიტიკა სხვა თამაშია. თანაც ეს ადამიანები ხელისუფლებაში იყვნენ, მათ გამოსცადეს ძალაუფლების ხიბლი, რომელიც ასე არ ეთმობათ. ეს აშკარაა.

***— ნაციონალური მოძრაობა ვერ ეგუება, რომ ხელისუფლებაში აღარ არის?***

— ნაციონალური მოძრაობა ამას ვერც კი უშვებდა. ვერაფრით წარმოუდგენიათ, რომ ოპოზიციაში არიან.

დღეს ყველაზე მეტად მაინც სააკაშვილს უჭირს, ამიტომაც არის, რომ ყველანაირი გზით ცდილობს, დაიბრუნოს ძალაუფლება. ასევე უნდა აღვნიშნო, არ გამოვრიცხავ, რომ ფარული ჩანაწერები გაკეთდა არა საქართველოში, არამედ უკრაინაში და ეს უკრაინულმა მხარემ გააკეთა.

***— რატომ, მათ რაში აწყობდათ ეს?***

— უკრაინაში სააკაშვილის წინააღმდეგ კომპრომატებს რომ ეძებენ, ეს ლოგიკური და გასაგებია. ოდესაში არის საკმაოდ ძლიერი ჯგუფები, რომლებიც სააკაშვილის წინააღმდეგ არცთუ კეთილგანწყობილნი არიან.

# ნიკა გვარამია იმედსა და პირველ არხს ემუქრება

## ახალი ჩანაწერი, ახალი სკანდალი

გუშინ, 2 ნოემბერს, უკრაინულმა საიტმა მიხეილ სააკაშვილის და ნიკა გვარამიას მორიგი სატელეფონო ჩანაწერი გაავრცელა.

ჩანაწერის მიხედვით, სააკაშვილი ნიკა გვარამიას ეუბნება, რომ ჟურნალისტთა კოლექტივთან წაიმუშავოს.

მიხეილ სააკაშვილი: მე ვიზიარებ, რომ არ გვინდა შეშინება ჟურნალისტების კოლექტივის... ერთადერთი წაიმუშავე ყველასთან სათითაოდ... მაგათ აუხსენი, ყველას გაყრიან სათითაოდ. ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი, სავარაუდოდ, დავით კეზერაშვილს ახსენებს.

ნიკა გვარამია თემურ ჯანაშიას ახსენებს და აცხადებს, რომ დაცვის ორგანიზებას მას დაავალებენ, მიხეილ სააკაშვილი კი ყოფილი სპეცრაზმელების საჭიროებაზე საუბრობს.

ნიკა გვარამია: ეს სპეცრაზმელები საიდან მოვიყვანო, ნაცებს ვთხოვო, რომ დამაკავშირონ?

მიხეილ სააკაშვილი: გივი იცნობს ყველას....

* * *

ნიკა გვარამიამ ამ ჩანაწერის აუთენტურობა არ დაადასტურა.

როგორც გვარამიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს ჩანაწერი არ არის უწყვეტი და არის დამონტაჟებული.

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩანაწერი არ არის უწყვეტი, არის დამონტაჟებული. რაც შეეხება ჩემ საუბარს. რა თქმა უნდა, მე მქონდა საუბარი მიხეილ სააკაშვილთანაც და არა მხოლოდ მასთან იმასთან დაკავშირებით, რომ მჭირდება კომპეტენტური ადამიანების აყვანა დაცვაში, ვინც საჭიროების შემთხვევაში კომპანიას დაიცავს არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების შემოტევებისგან, არამედ ე.წ. ტიტუშკების შემოტევებისგანაც, რაც ზუსტად ვიცოდით, რომ იგეგმებოდა, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან თქვა, რომ უსაფრთხოების სამსახურიდან წყარომ აცნობა, რომ საქართველოს ხელისუფლება გეგმავდა პროვოკაციებს სწორედ ამ ჩანაწერზე დაყრდნობით.

— როგორც კი გამოჩნდებოდნენ ჩვენს ეზოში ასეთი ადამიანები, მათ შორის ყოფილი სპეცრაზმელები, რამდენიმე მათგანი იქნებოდა ანგაჟირებული ხელისუფლების მიერ და მოხდებოდა პროვოკაციის მოწყობა. ამიტომაც, ჩვენ რამდენიმე დღის წინ საჯაროდ განვაცხადეთ, რომ არ ვაპირებთ არც ამ ადამიანების, არც სხვა ადამიანების ჩვენს სივრცეში შემოშვებას, რადგან არის მაღალი საშიშროება, ხელისუფლება არის თავზე ხელაღებული და ამიტომ, პროვოკაციების თავიდან არიდების მიზნით ჩვენ თვითონ დავიცავდით ტელეკომპანიას, — აღნიშნა რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა.



მისი ცნობით, ტელეკომპანიის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ უშიშროების წარმომადგენლები.

— ერთ-ერთი პირი, მათ შორის ფარულად, სხეულზე დამაგრებული კამერით აწარმოებდა ჩაწერას. მათ შორის წერდა იმ ადამიანებს, ვინც წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი, თუ რა უნდა ექნათ იმისთვის, რომ შეექმნათ სანახაობა, თითქოს მიმდინარეობს გარკვეულწილად იარაღის ან სხვა რაიმე მსგავსის გამოყენებით, რევოლუციური სცენარის მომზადება, — აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

ის არ გამორიცხავს, რომ ეს ხელისუფლებამ ამგვარი ვიდეოების დადებით თავადვე დაადასტუროს.

— როგორც კი ეს ინფორმაცია გახდა ჩვენთვის ცნობილი, ჩვენ შევწყვიტეთ ეზოში შემოყვანა ხალხის და გავაჩერეთ ყოველგვარი საქმიანობა იმ მიმართულებით, რომ დაცვაში რაიმე ცვლილება მომხდარიყო და ახალი წევრი დაგვემატებინა, — განაცხადა გვარამიამ.

მისივე თქმით, ტელეკომპანიას მართლაც სჭირდება დაცვის გაძლიერება, მან ამაზე რჩევა სააკაშვილსაც ჰკითხა, თუმცა არა იმ შინაარსით, როგორც გამოქვეყნდა.

— ჩვენ მართლაც გვჭირდება დაცვის გაძლიერება გამომდინარე ამ გახსნილი სივრცის სიდიდისგან. ჩვენ არ გვყოფნის დაცვის ის რაოდენობა, რომელიც გვყავს. ის, რომ მე მიხეილ სააკაშვილს, რა თქმა უნდა, შეიძლება ვთხოვო, რომ მირჩიოს, ვინ შეიძლება დაცვაში იყოს, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ, რადგან როგორც ჩანაწერში ვამბობ, მე არ მაქვს შესაბამისი ექსპერტიზა. საუბრები ამასთან დაკავშირებით ყოფილა, მაგრამ არა გამოქვეყნებული შინაარსით, — აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, სამარცხვინოა, რასაც აკეთებს საქართველოს უშიშროება, ასევე სამარცხვინოა, ვინც ამას ახმოვანებს და ეთერში დებს.

— ეს ეხება, პირველ რიგში, ადამიანის პირად ცხოვრებას, — აღნიშნა გვარამიამ.

* * *

რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორს იმედთან და საზოგადოებრივ მაუწყებელთან კითხვები აქვს.

მისი თქმით, მასალები ჯერ არც იყო დადებული იმ საიტზე, სადაც გამოქვეყნდა, რომ იმედისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები ამ თემაზე რესპონდენტებს წერდნენ. გვარამიას თქმით, იმედიდან თავადაც დაურეკეს კომენტარისთვის, როდესაც ეს ჩანაწერები უკრაინულ საიტზე საერთოდ არ იხსენებოდა.




— ტელევიზიები, რომლებიც ხელისუფლების ინტერესებს გამოხატავენ — ტელეკომპანია იმედი და პირველი არხი, ნებსით თუ უნებლიეთ, გამოდიან ამ დანაშაულებრივი შეთანხმების გამტარებლები და გამხმოვანებლები. გამოძიება აუცილებლად წარიმართება ამ მიმართულებით, რათა დადგინდეს, თუ როგორია თანამშრომლობა ეფესბესა და საქართველოს ხელისუფლებას შორის, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მისი თქმით, ამ გამოძიებას ჩაატარებს ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნული მიუკერძოებელი პროკურატურა.

— აუცილებლად დაიკითხებიან ორივე არხის კომპეტენტური პირები იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან იცოდნენ მათ საჯარო სივრცეში მასალების ატვირთვამდე ეს ინფორმაცია, როგორ დაიწყეს სინქრონების ჩაწერა მანამდე, ვიდრე ეს ინფორმაცია საჯარო სივრცეში გამოჩნდებოდა, როგორ გაუშვეს მყისიერად ეს ინფორმაცია, როგორც კი აიტვირთა, წამიდან წამში და ვინ იყო ის თანამდებობის პირი, ვინც ამის შესახებ მათ აცნობა. თქვენ, მეგობრებო, აუცილებლად მოგიწევთ ამ ძალიან მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემა, — განაცხადა გვარამიამ.

მისივე თქმით, უკიდურესად სამარცხვინო საქციელია დღეს სახეზე.

— პირველ რიგში ის გარემოება, რომ საქართველოს ხელისუფლება ღიად და დაუფარავად თანამშრომლობს რუსულ სპეცსამსახურებთან, საიტი, რომელზეც ეს ყველაფერი ქვეყნდება, ჩანაწერები, რომელიც არსებობს, არის ეფესბეს მოპოვებული და საქართველოს ხელისუფლებას ეს ჩანაწერები აქვს რუსული სპეცსამსახურებისგან. ეს არის ქვეყნის ინტერესების ღალატი, ეს არის საქართველოს მოქალაქეების და მათ შორის ჩემი უფლებების დარღვევა, — აღნიშნა ნიკა გვარამიამ.

# ია ანთაძე: „ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ რუსთავი 2-ის მფლობელი შეიცვალოს“

ნონა ცაბაძე

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ირგვლივ გასულ კვირას გავრცელებული ჩანაწერები მედიაექსპერტ ია ანთაძისთვის დიდ სიახლეს არ შეიცავს.

– ქართველმა ხალხმა დაინახა, რომ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოში, არის მზად, ხელი შეუწყოს საზოგადოების ერთი ნაწილის კიდევ უფრო გარადიკალურებას მეორე ნაწილის მიმართ. ეს არის პროცესი, რომელიც არ მოსწონს არავის, – აცხადებს ია ანთაძე.

მისი აზრით, საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება სწორედ მათ წინააღმდეგ მიემართება, ვინც დაძაბულობისკენ მოუწოდებს.

– წინა პერიოდში საზოგადოების უკმაყოფილება ხელისუფლებისკენ იყო მიმართული, სწორედ იმიტომ, რომ მოედნებზე აჩვენებდნენ წამების ამსახველ კადრებს, და ხელისუფლების წარმომადგენლები ამ კადრებს ინტერნეტით აზიარებდნენ. ახლა კი საზოგადოებამ დაინახა, რომ მხოლოდ ხელისუფლების ბრალი არ არის ეს ყველაფერი, აქ არის სააკაშვილიც, რომელიც ცდილობს დაძაბოს ვითარება, შექმნას რევოლუციური სიტუაცია და ადამიანებმა ცხვირ-პირი დაუნაყონ ერთმანეთს, – აღნიშნავს მედიაექსპერტი.

***– გაკეთდა შეფასებები, რომ რუსთავი 2 ცდილობს, გაემიჯნოს სააკაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას. თქვენ რამდენად გრჩებათ ეს შთაბეჭდილება და გამოუვათ თუ არა?***

– ერთი მხრივ, როდესაც ადამიანი რევოლუციურ სცენარს ქმნის, საზოგადოების ის ნაწილი, ვისაც ეს სცენარი არ მოსწონს, ცხადია, ემიჯნება და ჩვენ ვნახეთ, რომ არა თუ გაემიჯნენ სიტყვით, არამედ ფაქტობრივადაც არ გააკეთეს ის, რაზედაც მიხეილ სააკაშვილი მიუთითებდა. გამოდის, რომ მაშინვე გაემიჯნენ, როდესაც ამ საუბრიდან მეორე და მესამე დღეს არ მოხდა ის, რასაც სააკაშვილი ითხოვდა.

ია ანთაძე სააკაშვილი-გვარამიას საუბრის მეორე პასაჟს იხსენებს, როდესაც გვარამია ეუბნება სააკაშვილს, რომ ფული სჭირდება და ეს ამბავი არ გამოვა დამატებითი რესურსის გარეშე.

***– ეს რაზე მიგვანიშნებს?***

– ის ამბავი, რომ ფულს სთხოვს ნიკა გვარამია მიხეილ სააკაშვილს, ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი, ემიჯნები და გაემიჯნები, ეს ადვილია, მაგრამ შემდეგ რანაირად უნდა იარსებოს ამ ტელევიზიამ?! ის მითი, რომ ტელევიზია არსებობდა სარეკლამო შემოსავლებით, მე პირადად რეალობად არასდროს მიმაჩნდა! მე ვხედავდი, რომ არც ერთი ტელევიზია ასეთ შედეგს არ დადებს დამატებითი სტიმულების გარეშე.



**საკაშვილმა ხომ იცოდა, რომ შესაძლებელია ისმინებოდა მისი ტელეფონი, რატომ დაიწყო საუბარი რევოლუციურ სცენარზე? ასევე ძალიან საინტერესო ამ ყველაფერში ის იყო, რომ ძალიან სწრაფად მოხდა აღიარება თვითონ ფიგურანტების მიერ. ბოკერიამაც, გვარამიამაც და სააკაშვილმაც ძალიან მალე აღიარეს, რომ ეს იყო რეალური ჩანაწერი**

***– ამით რისი თქმა გსურთ?***

– ყოველთვის მიმაჩნდა, რომ აქ ფინანსური მონაწილეობა იყო მიხეილ სააკაშვილის.

***– ანუ ფინანსები სააკაშვილისგან მოდის?***

– ეს მისი ტელევიზიაა და აბა, საიდან წამოვა ფინანსები?! ეს ჩვენ თავიდან ბოლომდე ვიცით, რომ ეს არის მისი ტელევიზია. აგერ ნიკა გვარამია ეუბნება, ფული მომეციო და, რომ გაემიჯნები, მერე რა მოხდება?! რაღაცით ხომ უნდა იარსებოს ამ ტელევიზიამ?! მაშინ უნდა ჩანაცვლდეს ფინანსური წყაროები იმ ადამიანებით, ვისაც ეს ტელევიზია მოემსახურება. თუ არა და გაემიჯნებიან და იქნებიან იმ შემოსავალზე, როგორზეც არიან სხვები! ათეულობით მილიონი ჩამოეჭრა და ეპატია რუსთავი 2-ს. ეს ცოტა ნამდვილად არ იყო.

***– მაშინ რა გამოდის, თვალთმაქცობს გვარამია, როცა აცხადებს, ვემიჯნებიო თუ რეალურად ახალ დამფინანსებელს ეძებს?***

– არ ვიცი. ამის შესახებ არც ინფორმაცია მაქვს და არც მოსაზრება. ცხადია, რომ როგორც კი გაემიჯნებიან, გინდ გვარამია და გინდ ნაციონალური მოძრაობის წევრები, ეს ადამიანები გარკვეული პრობლემების წინაშე დადგებიან.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ სააკაშვილი არის რეალური ლიდერი და რეალურ თანხებს ის აკონტროლებს. ამ შემთხვევაში ისინი კარგავენ როგორც ლიდერს და ესეც მნიშვნელოვანია, ასევე – შემოსავლებს. როგორ გადაწყვეტენ ამ დილემას, ეს წინასწარ ნამდვილად არ ვიცი.

***– არის მოსაზრება, რომ ნაციონალების ერთმა დაჯგუფებამ „გაუჩალიჩა“ სააკაშვილს ეს ყველაფერი.***

– ეს არასერიოზული მოსაზრებაა. მე სხვა კითხვა მაქვს – სააკაშვილმა ხომ იცოდა, რომ შესაძლებელია ისმინებოდა მისი ტელეფონი, რატომ დაიწყო საუბარი რევოლუციურ სცენარზე? ასევე ძალიან საინტერესო ამ ყველაფერში ის იყო, რომ ძალიან სწრაფად მოხდა აღიარება თვითონ ფიგურანტების მიერ. ბოკერიამაც, გვარამიამაც და სააკაშვილმაც ძალიან მალე აღიარეს, რომ ეს იყო რეალური ჩანაწერი.



***– ეს ყველაფერი რა შთაბეჭდილებას ტოვებს?***

– ვფიქრობ, რომ მათ იცოდნენ, რომ ეს ჩანაწერი გამჟღავნდებოდა. წინასწარ იყვნენ მზად და გარკვეული ტაქტიკა ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ჰქონდათ. იცოდნენ, რომ როგორც კი ეს ჩანაწერი დაიდებოდა, მაშინვე უნდა ელიარებინათ. თუ გვარამიას დავუჯერებთ, ხელისუფლება სწორედ ამ ჩანაწერებით აშანტაჟებდა. ლოგიკურია დასკვნა, რომ ხელისუფლებამაც უფრო ადრე იცოდა ამ ჩანაწერების არსებობის შესახებ, ვიდრე ისინი გამოქვეყნდებოდა. თუმცა ოფიციალურად ხელისუფლება არ აღიარებს რაიმე კავშირს ამ ჩანაწერებთან.

***– ხელისუფლების ინტერესს თუ ხედავთ რუსთავი 2-თან დაკავშირებით?***

– რასაკვირველია, ვხედავ! ვინ შეიძლება ვერ ხედავდეს ამ ინტერესს, როცა ეს არის ტელევიზია, რომელიც ძალიან ეფექტურად მუშაობს, რომელსაც ჰყავს ყველაზე მეტი მაყურებელი. რომელიც არის არა მარტო ძალიან კრიტიკული, არამედ მანიპულაციის დიდოსტატიც. ცხადია, ხელისუფლებას გარკვეული მიზნები აქვს რუსთავი 2-თან დაკავშირებით. რასაკვირველია, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ რუსთავი 2-ის მფლობელი და ტელევიზიის შინაარსი შეიცვალოს.

***– სხვა სატელევიზიო არხების მიმართ რამდენად იგრძნობა ხელისუფლების გავლენა?***

– ჯერ კიდევ ველოდებით ახალ გადაცემებს როგორც საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ისე ტელეიმედში, ახალი გადაცემა უნდა გავიდეს ჯიდიესზეც. საბოლოო სურათზე ვერ ვისაუბრებთ, თუმცა ამის დადასტურება შემიძლია, რომ ზოგადად ტელევიზიების ბადეს რომ გადავხედოთ, რაიმე განსაკუთრებულად კრიტიკულ გადაცემას, რომელიც იქნებოდა საპირწონე რუსთავი 2-დან წამოსული კრიტიკისა, ვერ ვხედავ.

**ის ამბავი, რომ ფულს სთხოვს ნიკა გვარამია მიხეილ სააკაშვილს, ძალიან მნიშვნელოვანია. კარგი, ემიჯნები და გაემიჯნები, ეს ადვილია, მაგრამ შემდეგ რანაირად უნდა იარსებოს ამ ტელევიზიამ?! ის მითი, რომ ტელევიზია არსებობდა სარეკლამო შემოსავლებით, მე პირადად რეალობად არასდროს მიმაჩნდა! მე ვხედავდი, რომ არც ერთი ტელევიზია ასეთ შედეგს არ დადებს დამატებითი სტიმულების გარეშე**

თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ თუ რუსთავი 2 არ იქნება, კრიტიკა საერთოდ აღარ იქნება ხელისუფლების. დღევანდელი მონაცემებით, ყველაზე კრიტიკულ ტელევიზიად რჩება რუსთავი 2. თუმცა ეს არის ტელევიზია, რომელმაც იცის მანიპულაცია ძალიან კარგად.

## ქიბარ ხალვაში: „არც ერთ პროფესიონალს არ გავუშვებ სამსახურიდან“

ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტებისადმი მორიგ მიმართვას ავრცელებს.

მიმართვაში ხალვაში არხის თანამშრომლებს ჰპირდება, რომ მათგან „არც ერთი პროფესიონალი არ გათავისუფლდება სამსახურიდან“.



– კიდევ ერთხელ მინდა მივმართო რუსთავი 2-ის ჟურნალისტებს და კიდევ ერთხელ მინდა დავამშვიდო ისინი. ძალიან კარგად მესმის, რა ტერორის და ზეწოლის ქვეშ იმყოფებით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მეპატრონის, მიხეილ სააკაშვილის და მისი გენერალური დირექტორის მხრიდან. მესმის და ვხვდები, თუ როგორ უნდათ გაქციონ სიტუაციის მძევლებად, როგორ ცდილობენ თქვენით მანიპულირებას, იმისთვის, რომ გაგწირონ და შეწირონ თქვენი რეპუტაცია და პროფესიონალიზმი, თქვენი სიცოცხლეც კი საკუთარი ამბიციებისა და ცხოველური ჟინის დაკმაყოფილებას.

მე გარწმუნებთ და გპირდებით, რომ თქვენგან არც ერთი პროფესიონალი არ გათავისუფლდება სამსახურიდან, – აცხადებს ხალვაში.

გარდა ამისა, ბიზნესმენი ყოფილ პრეზიდენტ, მიხეილ სააკაშვილსაც მიმართავს და მოუწოდებს, რომ რუსთავი 2-სგან ხელები შორს წაიღოს.

– მივმართავ სისხლიან ტერორისტ მოძალადე სააკაშვილს! კმარა, რაც ატერორე საქართველოს მოსახლეობა! კმარა, რაც ატერორე ბიზნესმენები, გადაუწვი და ჩამოართვი საკუთრება, დაუნგრიე ცხოვრება! კმარა, რაც ატერორე რუსთავი 2 და იძალადე თავისუფალ სიტყვაზე! ხელები შორს რუსთავი 2-სგან, – აცხადებს ხალვაში.

## გია სოსანაშვილი: „შოთაძემ მითხრა, თქვი, რომ ეს ფირცხალავამ დაგავალაო“
### პროკურატურა: „სოსანაშვილს საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს“

გუშინ, 2 ნოემბერს, საქალაქო სასამართლოში იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა გია სოსანაშვილმა დასკვნითი ჩვენება მისცა.

მისი ინფორმაციით, მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე აღიარების სანაცვლოდ მას ოჯახის უზრუნველყოფას ჰპირდებოდა.

– მიმაბეს რკინის მაგიდაზე, შემოვიდა მამუკა ვასაძე და მითხრა, რომ აფეთქების შედეგად დარჩენილ ხელყუმბარის სახელურზე დარჩენილი იყო დნმ-ის კვალი, რომელიც მე მეკუთვნოდა. ვუთხარი, რომ დანაშაული მე არ ჩამიდენია და რატომ მაბრალებთ-თქო. მითხრა, იმიტომ, რომ 20 თებერვალს დაგირეკა ირაკლი ფირცხალავამო. შემდეგ შემოვიდა შოთაძე და მითხრა, თქვი, რომ ეს ყველაფერი ფირცხალავამ დაგავალა, შენ მოგისჯით რაღაც წლებს და, სამაგიეროდ, შენი ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი და უსაფრთხოდო, – განაცხადა სოსანაშვილმა.




სოსანაშვილის განცხადებას მთავარი პროკურატურა რამდენიმე საათში გამოეხმაურა.

– სიცრუეზე კომენტარს ვერ გავაკეთებთ, – უთხრა ნიუპოსტს უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია სუხიაშვილმა.

მოგვიანებით კი სუხიაშვილმა სააგენტოს ასეთი მესიჯი გაუგზავნა:

– სოსანაშვილს სამუდამო პატიმრობა ემუქრება და ცდილობს, მსგავსი სახის განცხადებებით საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში.

* * *

იური ვაზაგაშვილი მიმდინარე წლის 20 იანვარს კასპის რაიონში, სოფელ ყარაფილაში, შვილის, ზურაბ ვაზაგაშვილის სასაფლაოსთან მომხდარი აფეთქების შედეგად გარდაიცვალა.

მომხდარიდან მალევე მოქმედი პოლიციელი გია სოსანაშვილი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

ჩადენილ დანაშაულს გია სოსანაშვილი დღემდე არ აღიარებს.

ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე დასკვნით ეტაპზეა გადასული. განაჩენი, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში გამოცხადდება.

## სოფო ნიჟარაძე და თემურ ჯანაშია დაკითხვაზე დაიბარეს



უკრაინულ საიტზე აუდიოჩანაწერების გავრცელების შემდეგ, მომღერალი სოფო ნიჟარაძე და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი თემურ ჯანაშია დაკითხვაზე დაიბარეს.

ფაქტი ნიუპოსტს სუსის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა დაუდასტურა.

გიორგობიანი არ ადასტურებს, ნიჟარაძისა და ჯანაშიას დაკითხვაზე დაბარების მიზეზი არის თუ არა ინტერნეტით გავრცელებული აუდიოჩანაწერი.

ნიჟარაძეს მოდულის შენობაში 3 ნოემბერს 12:00 საათზე ელოდებიან, ჯანაშია კი საგამოძიებო უწყებაში 15:00 საათზე უნდა გამოცხადდეს.

როგორც სოფო ნიჟარაძისთვის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან გაგზავნილი უწყებიდან ირკვევა, მომღერალი მოწმის სახით იკითხება.

გუშინ გავრცელებული ფარულ სატელეფონო ჩანაწერებში სოფო ნიჟარაძე მიხეილ სააკაშვილთან საუბარში ჟურნალისტ ნოდარ მელაძის მიმართ შეურაცხმყოფელ სიტყვებს იყენებს, თემურ ჯანაშიას კი სააკაშვილი და გვარამია ახსენებენ ასევე სატელეფონო საუბარში.

მომღერალმა ჩანაწერი „ფსბ-ს დამონტაჟებული სიყალბე“ უწოდა.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ემზარ ჯგერენაია: „გაზი რამდენიმე კომპანიამ უნდა შემოიტანოს“

შორენა კოწოწაშვილი





ბოლო დროს, გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებამ გაააქტიურა მოლაპარაკება გაზპრომთან. მთავრობამ ეს იმით ახსნა, რომ არ შეიძლება ქვეყანა მხოლოდ ერთი მომწოდებლის, აზერბაიჯანის, იმედად იყოს.

ეკონომიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია ამბობს, რომ აზერბაიჯანი დღეის მდგომარეობით არის აბსოლუტური მონოპოლისტი.

– 12 მოქმედი გაზის ჭაბურღილი აქვს დღეს აზერბაიჯანს. საკმაოდ ღარიბული ჭაბურღილებია. გაზაფხულზე, როდესაც პიკური მოწოდება არ არის, მაშინ აზერბაიჯანი ამოსუნთქულია და თავისუფლად მოდის ხარისხიანი გაზი მოსახლეობისთვის და პარამეტრები დაცულია, – ამბობს ექსპერტი.

მისი თქმით, ზამთარში, როცა არ ყოფნის გაზი, ამ 12 ჭაბურღილიდან 1 მილში ყრიან ყველანაირ გაზს და აქ ჭუჭყიანი გაზი მოდის.

– ჩვენც უხარისხო გაზს ვღებულობთ. მეტის გადახდა გვიწევს, რადგან მეტი უნდა დაიწვას, რათა შესაბამისი კალორია მივიღოთ.

ჯგერენაია ამბობს, რომ კომერციული გაზის მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ალტერნატივა: სოკარისგან იყიდოს გაზი, რომელიც მონოპოლისტია, თუ ყაზახეთისგან, თურქმენებისგან ან რუსებისგან.

– ბაზარზე უნდა იყოს რამდენიმე მოთამაშე. ჩვენ თუ ამას მოვახერხებთ, ეს არის ფანტასტიკური, რადგან მაშინ მივიღებთ გაზის ნორმალურ ფასს ანუ ოპტიმალურ ფასს. ოპტიმალური ფასი არის მთავარი მიზანი, – აცხადებს ემზარ ჯგერენაია.

ექსპერტის ინფორმაციით, დღეს მიმდინარეობს მოლაპარაკება კომერციულ ნაწილში, რომ იმ ბაზარზე, რომელიც არის კომერციული, იყოს წარმოდგენილი რამდენიმე მძლავრი მოთამაშე.

– ეს არის ინვესტიციასთან მიბმული თემა. ჩვენ თუ კომერციული ბაზარი გვექნება გამართული, თუ თქვენ გექნებათ ალტერნატივის წამოყენების საშუალება, ინვესტორი ჩადებს ქარხნის მშენებლობაში ფულს და შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. თუ იქნება მონოპოლიური სიტუაცია, როგორც ახლაა, მაშინ ინვესტორს გაუჭირდება გადაწყვეტილების მიღება. ეს მძლავრი პოლიტიკური თემაა.

– ამ ცოტა ხნის წინ პრესაში დაიწერა, რომ ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციები შეჩერდა, რომ დიდი და საშუალო პროექტები აღარ ხორციელდება.

– სოკარი 350 ლარად აწვდის გაზს კომერციულ მომხმარებლებს, რაც არის უძვირესი ფასი. რუსეთს გაზის გაყიდვის პრობლემა აქვს. იმიტომ იბრძვის ნებისმიერი ბაზრისთვის, იგივე საქართველოს ბაზრისთვის. ჩვენ ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ.

# რატომ გაუფასურდა „საქართველოს ბანკის“ აქციები ლონდონის ბირჟაზე?

## რა კავშირშია ბანკის იდუმალებით მოცული ძარცვა ამ მოვლენასთან

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ „საქართველოს ბანკი“ გაძარცვეს. ფაქტი 24 ოქტომბერს, შაბათ დღეს მოხდა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბანკის კუთვნილი 10 მილიონი ლარის ოდენობის თანხა იქნა გატაცებული.

სოციალურ ქსელებსა და მედიაში ძარცვის შესახებ ინფორმაცია შსს-ს პრესსამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ გაავრცელა. მისივე ინფორმაციით, ძარცვა „საქართველოს ბანკის“ ინკასატორებმა ჩაიდინეს.

– ინკასაციის მანქანა ბანკის საცავიდან გატანილი ფულის კუპიურებით დაიტვირთა, ადგილიდან გასვლის შემდეგ, რამდენიმე წუთში, მანქანა რადარებიდან გაქრა, ხოლო ინკასაციის ცვლის უფროსმა და მისმა სავარაუდო ხელშემწყობებმა მანქანა ალმაშენებლის გამზირთან მიატოვეს, სადაც ის საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც „საქართველოს ბანკმა“ რადარებიდან მანქანის გაქრობის შესახებ შსს-ს შეატყობინა და მანქანა ძებნაზე გადასცეს, – გაავრცელა ინფორმაცია გურამ დონაძემ.

„საქართველოს ბანკმა“ დაადასტურა ქურდობის ფაქტი, თუმცა მისმა განცხადებამ საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტი კითხვა გააჩინა.

– მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რომელზეც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ქურდობის მუხლით. ამ ფაქტით გამოწვეული შესაძლო ზარალი ბანკს სრულად აქვს დაზღვეული. „საქართველოს ბანკი“ მუშაობას განაგრძობს ჩვეულ რეჟიმში, ხსენებულ ინციდენტს არ გამოუწვევია რაიმე სახის შეფერხება. ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საგამოძიებო ორგანოებთან და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, საქმესთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას ვერ გაავრცელებს, – ნათქვამია ბანკის განცხადებაში.

* * *

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს ბანკის ძარცვის ყველაზე მსხვილი და იდუმალებით მოცული ფაქტია.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკიდან დიდი ოდენობით თანხა დაიკარგა, ძალოვან სტრუქტურებს ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ ამ ფაქტთან დაკავშირებით. მაშინ, როცა ამ მასშტაბის ძარცვას თან უნდა ახლდეს მედიაში ინფორმაციის აქტიური გაშუქება, შესაძლო დამნაშავე პირთა სურათებით, რომ მოხდეს ქურდების დაკავება, დანაშაულის ჩადენიდან გასულია 1 კვირა და კვლავ სიჩუმეა.

როგორც „ინფო 9“ იუწყება, ეს თანხა საქართველოს საზღვრებს გარეთ ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტის მეშვეობით უკვე გაიტანეს. ეს იქ მომუშავე პერსონალის ხელშეწყობის გარეშე შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 10 მილიონი ლარი 100 კგ-ზე მეტი და მოცულობითაც ძნელად დასამალი ოდენობაა.

თუმცა, თუ მეორე ვარიანტს განვიხილავთ, რომ თანხა კვლავ საქართველოშია, რატომ არ ხდება დამნაშავეების აქტიური ძიება, საზოგადოებისთვის მოწოდებით, რომ აღნიშნული პირების შემჩნევის შემთხვევაში მიმართონ ძალოვან სტრუქტურებს?!




როგორც ირკვევა, თანხა ბანკში მომუშავე ინკასატორებმა წაიღეს და ადგილიდან მიიმალნენ, ანუ მათი ვინაობა ცნობილია.

პასუხგასაცემია კითხვაც, რატომ არ ახლდა ამხელა თანხით დატვირთულ საინკასაციოს დაცვის პოლიციის მანქანა, დაცვითურთ. როგორც წესი, ქალაქში „საქართველოს ბანკის“ საინკასაციო მანქანებს თან უსაფრთხოების მიზნით დაცვის პოლიციის ავტომობილები დაჰყვებიან.

* * *

ფულის გაქრობის დღიდან ბანკის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე ყოველდღიურად უფასურდება. ეს მაშინ, როდესაც მთელი ოქტომბერი აქციების ფასი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა, ხოლო 24 ოქტომბრიდან ყოველდღიურად უფასურდება.

ბოლო 4 დღეში „საქართველოს ბანკის“ აქციების ფასი 6%-ით დაეცა.

* * *

ბანკს სხვა კერძო ფირმებზე ბევრად მაღალი საჯაროობა მოეთხოვება, რადგან საკრედიტო ინსტიტუტის საქმიანობა დიდწილად სწორედ საზოგადოების ნდობაზეა დამოკიდებული. თუ არ ენდობი ბანკს, იქ შენს ანაბარს არ განათავსებ და არც სესხს აიღებ.

შესაბამისად „საქართველოს ბანკის“ მიერ ამ ისტორიული ძარცვის გასაიდუმლოება მხოლოდ მის საწინააღმდეგოდ ასხამს წისქვილზე წყალს, ამაზე საფონდო ბირჟაზე ბანკის გაუფასურებული აქციების ფასიც ნათლად მეტყველებს. საკვირველია, რომ თვითონ „საქართველოს ბანკში“ ამას ვერ ხვდებიან.

საინტერესოა, რომ გასული დღეების მანძილზე ბანკი არაფერს ამბობს დაკარგული თანხის ოდენობაზე, რადგან გავრცელებული ინფორმაცია, რომ „საქართველოს ბანკიდან“ 10 მილიონის ოდენობის თანხა მოიპარეს, საქართველოს უმსხვილეს ბანკს ჯერ არც უარუყვია და არც დაუდასტურებია.

კომერსანტ.გე

# გიორგი ქადაგიძე: „ჩვენ უკვე მივაღწიეთ ფსკერს“



## „ლარის კურსი რეალურად ასახავს იმას, რაც ეკონომიკაში ხდება“

ლარის გაუფასურების პროცესი ძალიან მტკივნეული იყო, თუმცა მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით, საგადასახადო ბალანსის შოკი გადალახულია, კურსი დასტაბილურდა. ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ რუსულ „კომერსანტთან“ ინტერვიუში ისაუბრა.

– ბოლო კვირების განმავლობაში ლარი დასტაბილურდა. კურსი რეალურად ასახავს იმას, რაც ეკონომიკაში ხდება. ვფიქრობ, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ ფსკერს, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მისივე თქმით, ლართან დაკავშირებული პრობლემის ფუნდამენტური გადაჭრა ქვეყნის შემოსავლების ზრდაა.

გიორგი ქადაგიძის განცხადებით, საქართველომ უნდა გაზარდოს შემოსავლები ექსპორტის, ტურიზმის ინვესტიციების მხრივ.

– რაც უფრო მეტს გამოვიმუშავებთ, მით უკეთ ვიცხოვრებთ. თუ ეს მოხდება, მაშინ შეგვიძლია კურსის ადრინდელ დონეზე დაბრუნება, – აღნიშნა გიორგი ქადაგიძემ.

კითხვაზე, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება წინა მთავრობის „ხელდასმულად“ მოიხსენიებს და ადანაშაულებს, რომ სავალუტო რეზერვები შეგნებულად არ დახარჯა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ყველაზე პოპულარული და არასწორი მეთოდია მოითხოვო, რომ ეროვნული ბანკი ჩაერიოს და საკუთარი რეზერვები დახარჯოს.

– ეს ძალიან არაეფექტურია, რასაც ადასტურებს არა მხოლოდ მრავალწლიანი მსოფლიო ეკონომიკური ისტორია, არამედ ჩვენი მეზობლების მაგალითები – იმ ქვეყნებმაც კი, რომლებიც გაცილებით მდიდრები არიან საქართველოზე ენერგომატარებლების ექსპორტის გამო, მრავალმილიარდიანი ინტერვენციების შემდეგ მაინც მოახდინეს ვალუტების დევალვაცია. რადგან, როცა საუბარია ფუნდამენტურ დისბალანსზე, რეზერვების ხარჯვა დიდი უაზრობაა. ჩვენ ამას ვერ დავუშვებდით, და არც გაგვიკეთებია ეს, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს ვალები არ ახრჩობს და რეგულაციის თვალსაზრისით, პრობლემები არ აქვს.

გიორგი ქადაგიძის განცხადებით, ყველა აუცილებელი პირობა არსებობს ქვეყნის განვითარებისთვის და ამიტომ წლის ბოლოს, ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მცირე ეკონომიკური ზრდა – 3% ექნება, ინფლაქცია კი დაახლოებით 5%-ს შეადგენს.

– ანუ მაკროეკონომიკური მდგომარეობის მხრივ ყველაფერი კარგად გვაქვს, მაგრამ ბევრი უნდა ვიმუშაოთ ინვესტიციების მოსაზიდად, სამუშაო ადგილების შესაქმნელად, ეკონომიკის პროდუქტიულობის გასაზრდელად. თუ ჩვენ შევძლებთ მომავალი 10 წლის განმავლობაში გავიმეოროთ ის წარმატება, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში გვქონდა, წარმატების კლასიკურ ისტორიას მივიღებთ – როგორც იქცა ღარიბი ქვეყანა 20 წელიწადში საშუალო ეკონომიკის მქონე ქვეყნად, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

# ყველა მინუს „ზედაზენი“

## ფინანსთა სამინისტროს უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლები სასამართლოში უჩივლებენ



არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ნაწილი ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელს სასამართლოში სავარაუდოდ 3 ნოემბერს შეიტანს.

მწარმოებელთა ნაწილი ისევ აცხადებს, რომ არ აპირებენ დათანხმდნენ ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებას სავალდებულო მარკირების შემოღებასთან დაკავშირებით.

როგორც „კომერსანტს“ „ნატახტარის“ კორპორატიულმა დირექტორმა ნიკოლოზ ხუნძაკიშვილმა განუცხადა, ინდუსტრიის წარმომადგენლებმა 30 ოქტომბერს პრემიერ მინისტრის სახელზე გაგზავნილი განცხადების პასუხი მიიღეს.

მთავრობამ სექტორს მარკირების სისტემაზე გადასვლისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა. აქედან გამომდინარე, არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლების ნაწილი აღნიშნულ საკითხს საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრებს.

– საჩივარს საქალაქო სასამართლოში, კომპანია „ზედაზნის“ გარდა, ინდუსტრიის ყველა წარმომადგენელი შეიტანს. ადმინისტრაციული აქტის მიხედვით, 30 დღიანი გასაჩივრების ვადა გვაქვს, თუმცა, დროის გაწელვას არ ვაპირებთ, – აცხადებს ხუნძაკიშვილი.

იმის გამო, რომ მწარმოებლებმა ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, მარკირების ამოქმედების პროცესი შეჩერებულად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ხუნძაკიშვილის განმარტებით, იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას მარკირების აპარატი უკვე აქვს, რომლითაც ლუდის მარკირებას ახდენს, დროებით დაემორჩილება სამინისტროს მოთხოვნას.

ფინანსთა სამინისტროს ბრძანების თანახმად, პროდუქციის მარკირების ვალდებულება კომპანიებს 1 ნოემბრიდან ეკისრებათ.

არაალკოჰოლურ სასმელებზე მარკირების შემოღებას უკვე დაეთანხმა კომპანია „ზედაზენი“.

29 სექტემბერს „ზედაზენის“ ქარხანაში დამონტაჟებული მარკირებისთვის საჭირო აპარატურა ნოდარ ხადურმა მოინახულა. შეხვედრაზე „ქართული ლუდის კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ სულხანიშვილმა განაცხადა, რომ ქარხანა ტექნიკურად მზადაა, სავალდებულო ელექტრონულ მარკირებას დაექვემდებაროს.

ამ ფაქტმა ბიზნესმენ თემურ ჭყონიასა და „ზედაზენის“ დამფუძნებელ ცეზარ ჩოჩელს შორის დაპირისპირებაც კი გამოიწვია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებისთვის სავალდებულო მარკირების შემოღების შესახებ ბრძანება გამოსცა.

ვალდებულება 1 ნოემბრიდან ამოქმედდა. სერვისს შემოსავლების სამსახური, საკუთარი მომსახურებებიდან მიღებული თანხებით აფინანსებს.

ელექტრონულ მარკირებას საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე, შვეიცარული კომპანია განახორციელებს.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

# დეპუტატობის კანდიდატი: „საგარეჯოში არჩევნების დღეს მცემეს“

## რას ჩივის ზურაბ ჯორბენაძე

გულიკო ბალაძე

**საგარეჯოს შუალედურ არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს საინიციატივო ჯგუფის წარდგენით, ზურაბ ჯორბენაძეს, არჩევნების დღეს თავს დაესხნენ, რადგან მან გარკვეულ პირებს მიუთითა, რომ მათი მოქმედება სახელისუფლებო რესურსის გამოყენებას ნიშნავდა.**

– რესპუბლიკელებმა საგარეჯოს არჩევნების პროცესში მარნეულის სოფლების რწმუნებულებიც კი ჩართეს, – აცხადებს ზურაბ ჯორბენაძე.

მისი თქმით, არჩევნების დღეს ზოგიერთ ქართულ სოფელში საარჩევნო უბნის ახლოს იდგნენ მანქანები, რომლებშიც ისხდნენ ადამიანები, ეჭირათ ხელში სია პირადობის მოწმობების მითითებით და ამ სიაში აკეთებდნენ აღნიშვნებს.

– ანუ ჯგუფები იყო მობილიზებული, რომლებსაც მოჰყავდათ ხალხი არჩევნებზე. მოყვანილ ხალხს მიუთითებდნენ, რომ ხმა უნდა მიეცათ „ქართული ოცნებისთვის“. ეს აშკარა ზეწოლაა ამომრჩეველზე, – აცხადებს ზურაბ ჯორბენაძე.

***– სხვა რა დარღვევები აღმოაჩინეთ?***

– გამოყენებული იყო მთელი სახელისუფლებო რესურსი. მასწავლებლებზე ზეწოლა ხორციელდებოდა, რომ ხმა „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ. მთელი სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები, ვინც მუშაობდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ჩართული იყვნენ.

***– მე მოვისმინე, რომ მხოლოდ რესპუბლიკელი ჩინოვნიკები, მინისტრები და დეპუტატები იმყოფებოდნენ საგარეჯოში. „ოცნების“ სხვა დეპუტატი იქ არ უნახავთო.***

– მართალია. ამას ვადასტურებ, მაგრამ მე საგარეჯოში ვნახე „ქართული ოცნების“ მინისტრები. რამ განასხვავა რესპუბლიკელი და არარესპუბლიკელი მინისტრები, მაინც „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მინისტრია გიგლა აგულაშვილი და დანარჩენები ღიად უჭერდნენ მხარს.

***– გიგლა აგულაშვილი არჩევნების დღეს ატარებდა აგიტაციას?***

– ჩვენ ვნახეთ გიგლა აგულაშვილი, რომელიც ღიად უჭერდა მხარს თამარ ხიდაშელს, რაც საარჩევნო კანონმდებლობის პირდაპირი დარღვევაა. ეს არის სახელისუფლებო რესურსის გამოყენება.

ზურაბ ჯორბენაძე ამბობს, რომ 31 ოქტომბერს დილით ჯერ ქართული სოფლები მოიარა, დღის 12 საათიდან კი აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში დადიოდა.

***– 8 აზერბაიჯანული სოფლის 12 უბანი მოვინახულე. ეს არჩევნები არ იყო.***

ჯგუფები მანქანებით გადაადგილდებოდნენ და ზოგი ამომრჩეველი თავისი მანქანით მიჰყავდათ საარჩევნო უბნებზე. ამაში სახელისუფლებო რესურსი იყო გამოყენებული.

***– თქვენ რით შეატყვეთ იმ მანქანებს, რომ სახელისუფლებო იყო?***

– ხელისუფლებას საგარეჯოში ჩაყვანილი ჰყავდა მარნეულის სოფლების რწმუნებულები, ასევე მარნეულის საკრებულოს წევრები – აზერბაიჯანელები.

***– საიდან იცით, რომ მარნეულიდან ჰყავდა ჩაყვანილი, იცნობთ?***

– რა თქმა უნდა, ვიცნობ. 18 წელია, ადვოკატი ვარ და აზერბაიჯანელებთან ბევრჯერ მქონდა შეხება. იორმუღანლოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მეუბნებოდნენ. საგარეჯოს სოფელ თულარში თვითონ აზერბაიჯანელებმა მაცნობეს, ვინ იყვნენ ჩამოყვანილი მარნეულიდან. ასევე ჩამოყვანილი ჰყავდათ მოლები.

***– საიდან?***

– გარდაბნიდან, მარნეულიდან. რაც მოლა და მუსლიმანი უხუცესია საქართველოში, ყველა იქ იყო ჩაყვანილი. რა თქმა უნდა, ეს შედიოდა სახელისუფლებო რესურსში. ამიტომაც იყო, რომ აზერბაიჯანულ სოფლებში თამარ ხიდაშელს გაამარჯვებინეს.

ზურაბ ჯორბენაძე ამბობს, რომ აზერბაიჯანულ სოფელში თავს დაესხნენ და კინაღამ გაგუდეს.

***– თავს როგორ დაგესხნენ?***

> **შემხვდა თულარის გამგებელი ზაურა, რომელსაც ვიცნობ. მას მივუთითე, ნუ მიჰყავდა ხალხი აქეთ-იქით ხმების მისაცემად. მომივიდა სიტყვიერი შელაპარაკება. ამ სიტყვიერი შელაპარაკებიდან ზუსტად 10 წუთში, როცა მოვდიოდი, მინდორში წინ გადამიდგა ორი მანქანა, გვერდებიდან ჩამიყენეს კიდევ ორი მანქანა. თავდასხმას ორგანიზება გაუკეთა ზაურას ძმამ რაჟდენამ. მას ახლდა რამდენიმე ისეთი პირი, რომელთაც ვიცნობ**



– წნევა მქონდა 180 120-ზე, საგარეჯოს საავადმყოფოში მოვხვდი და წნევა ძლივს დამიგდეს. სოფელ კარდლარის უბნიდან მოვდიოდი თულარისკენ. გზად შემხვდა თულარის გამგებელი ზაურა, რომელსაც ვიცნობ. მას მივუთითე, ნუ მიჰყავდა ხალხი აქეთ-იქით ხმების მისაცემად. მომივიდა სიტყვიერი შელაპარაკება. ამ სიტყვიერი შელაპარაკებიდან ზუსტად 10 წუთში, როცა მოვდიოდი, მინდორში წინ გადამიდგა ორი მანქანა, გვერდებიდან ჩამიყენეს კიდევ ორი მანქანა. თავდასხმას ორგანიზება გაუკეთა ზაურას ძმამ რაჟდენამ. მას ახლდა რამდენიმე ისეთი პირი, რომელთაც ვიცნობ. ის პირები დავასახელე ჩემს ჩვენებაში.

***– ვინ არიან ისინი?***

– მირზაევები და მისი რამდენიმე მომხრე. მანამდე მოვიარე მთელი აზერბაიჯანული სოფლები. არც ერთ მათგანს პრეტენზია არ გამოუხატავს, სანამ ზაურამ არ დაუკვეთა ჩემზე თავდასხმა.

***– მერე რა მოხდა?***

– ნაცმოძრაობის დროს პოლიციის აგენტები იყვნენ ის რაჟდენაც და ზაურაც და მისი ძმაც. მათ მოაწყვეს ჩემზე თავდასხმა. შემთხვევის ადგილზე მოსული პოლიცია, რომელიც 112-ით გამოვიძახე, არ რეაგირებდა. პოლიციის თანდასწრებით მაგინებდნენ, მლანძღავდნენ, საცემად იწევდნენ, პოლიციამ კი ისინი არ დააკავა. მანქანას მართმევდნენ. დაზიანებულია, გასაღები წართმეული მქონდა, ნაცემი ვარ. მეტი რა უნდა ექნათ?!

***– მარტო იყავით?***

– ორი ადამიანი მახლდა, მაგრამ ისინი გაანეიტრალეს და ჩემამდე არ უშვებდნენ. პოლიციამ თვითონ დააბრუნებინა მანქანის გასაღები და უთხრა, ახლა თქვენ წადით, ბატონი ზურაბი წავაო.

ამას რეაგირება არ მოჰყოლია. ყველა შემთხვევაში უნდა დაეპატიმრებინათ, რადგან მაჟორიტარობის კანდიდატს თავს დაესხნენ და მათი თანდასწრებითაც მაყენებდნენ შეურაცხყოფას.

## პაატა ზაქარეიშვილი: „ოსები უფრო ენდობიან საქართველოს სახელმწიფოს, ვიდრე აფხაზური მოსახლეობა“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განმარტებით, ოსური მოსახლეობა არა მარტო სამკურნალოდ ჩამოდის თბილისსა თუ სხვა ქალაქში, არამედ ქართულ კურორტებზეც ისვენებს.

**პაატა ზაქარეიშვილი:**

– ოსები უფრო ენდობიან საქართველოს სახელმწიფოს, ვიდრე აფხაზური მოსახლეობა, თუმცა გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ერთი ასად გაიზარდა ჯანდაცვის მიმართ ინტერესი, როგორც აფხაზეთიდან, ისე განსაკუთრებით ცხინვალიდან. 40 წუთი სჭირდება მანქანას, რომ ცხინვალიდან ჩამოვიდეს თბილისში და მიიღოს სრულფასოვანი, არაკორუმპირებული მკურნალობა.

ოსებს იმდენად მოსწონთ საქართველოს ხარისხიანი, არაკორუმპირებული მკურნალობა, რომ ჩვენთან განაგრძობენ სამედიცინო დახმარების მიღწევას და არა ვლადიკავკაზში, ან სოჭში ან მოსკოვში. დიახ, ისინი თბილისში ჩამოდიან, რათა თავიანთი ჯანმრთელობა შეინარჩუნონ, ეს არის აშკარად ახალი ტენდენცია. ფულსაც უკვე აქეთ ხარჯავენ – ცხინვალის მოსახლეობის დიდი ნაწილი დასასვენებლად ჩამოდის აჭარის კურორტებზე.

სახელმწიფო მინისტრის შეფასებით, „ის გაუცხოვება, რაც იყო 2008 წლის შემდეგ, უკვე ქრება“.

– ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის ფონზე აშკარად ხედავენ ისინი, რომ საქართველო არ არის მათთვის მტრული საზოგადოება. ეს ტენდენცია იმდენად დადებითია, რომ ამის არდანახვა არ შეიძლება, – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ირაკლი ალასანია: „კოალიციას ძალიან უჭირს“

პარლამენტის შუალედურმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ „ქართული ოცნების“ მიმართ ხალხის ნდობა არის ძალიან დაბალი.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, თავისუფალი დემოკრატები იქნება ახალი და ალტერნატიული ძალა, რომელიც რეალურად მოიპოვებს ხალხის მხარდაჭერას 2016 წელს.

**ირაკლი ალასანია:**

– შედეგებს თუ დავაკვირდებით, პოლიტიკური შეფასება შემიძლია გავაკეთო, რომ ძალიან უჭირს კოალიციას.

პრაქტიკულად, მათ მიმართ ხალხის ნდობა არის ძალიან დაბალი, ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ალტერნატიული ძალა იქნება თავისუფალი დემოკრატები, ვისაც მიეცემა შანსი 2016 წელს რეალურად მოიპოვოს ხალხის ნდობა.

მისივე თქმით, თავისუფალმა დემოკრატებმა არსებული საარჩევნო სისტემის გამო შუალედურ არჩევნებზე მონაწილეობაზე უარი განაცხადა.



– თავისუფალმა დემოკრატებმა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო, რადგან ჩვენ ვთვლით, რომ საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს. უნდა იყოს უფრო სამართლიანი, – განაცხადა ალასანიამ.

**ინტერპრესნიუსი**

## ამცახარა პრემიერის პოსტის გაუქმებას ითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი

**ანექსირებულ აფხაზეთში კრიზისია. პოლიტიკური პარტია ამცახარა ისევ აყენებს პრეზიდენტ ხაჯიმბას გადადგომის, ასევე პრემიერ-მინისტრის პოსტის გაუქმების მოთხოვნებს.**

ამცახარას დასკვნით, გასაუქმებელია პრემიერ-მინისტრისა და ვიცე-პრემიერის თანამდებობები, რეფორმებია გასატარებელი მმართველობაში.

– ჩვენი გეგმის თანახმად, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ხდებიან პასუხისმგებელი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. ამასთან, ისინი იმყოფებიან საზოგადოებრივი პალატის კონტროლის ქვეშ, – აცხადებს ოპოზიციური პარტია.

აფხაზეთის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს საპროტესტო განწყობა აქვს და გააქტიურებული ოპოზიციის ეს წინადადებებიც მოსწონს. ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვებით, მოსახლეობა დადებით ძვრებს ვერ ხედავს და თითქმის ყველა სფეროში გაუარესებას უჩივის.

არსებობს აზრი, რომ კრიზისი პარლამენტმა უნდა დაარეგულიროს.

– აფხაზეთის პარლამენტი რჩება დროის მიერ გამოცდილ ერთადერთ მოთამაშედ. მას შეუძლია, იკისროს შექმნილი სიტუაციის მოგვარების ფუნქცია. პარლამენტი ყველაზე ოპტიმალური მოედანი და გამოცდილი ინსტრუმენტია, რომელსაც აქვს უნარი, ჩაერთოს შიდა პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგებაში. აფხაზურმა პოლიტიკურმა ელიტამ უნდა გააცნობიეროს, რომ კრიტიკული ზღვარი არ უნდა გადავლახოთ, – ამბობს ჟურნალისტი ინალ ხაშიგი.



თბილისში მყოფი აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ყველაფერი, რაც აფხაზეთში ხდება, კრემლიდან იმართება. მათ შორის, ბოლოდროინდელი მოვლენები.

– კრიზისი პირდაპირ არაა დაკავშირებული მდგომარეობასთან ეკონომიკაში, თუმცა, დონე ეცემა. მცირდება ეკონომიკის ზრდის ტემპები, –აცხადებს სტრატეგიული კვლევების ცენტრის ექსპერტი ხათუნა შატიპა.

მისივე თქმით, არ არსებობდა საარჩევნო პროგრამა, რომლის შეუსრულებლობისთვისაც შეიძლება ხელისუფლებას პასუხი მოსთხოვო.

ამცახარა ყოველდღიურად არ აქტიურობს, თუმცა, აცხადებს, რომ თავის მოთხოვნებზე უარს არ იტყვის. ოპოზიციონერების განმარტებით, განსხვავებული აზრის გამოთქმისა და შეკრებების თავისუფლებას აფხაზეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს.

ცოტა ხნის წინ ამცახარას აქტივისტებმა ხელისუფლებასთან ბრძოლის სხვა ხერხიც გამოიყენეს – ალხას კვიცინია თანმხლებ პირებთან ერთად ღამით მიადგა პრემიერ არტურ მიქვაბიას საცხოვრებელ სახლს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულმა ჯგუფმა ინციდენტი აღკვეთა. შს მინისტრმა ლეონიდ ძიაპშბამ კი ოპოზიცია გააფრთხილა, რომ ასეთი დარღვევებისთვის დამნაშავეები კანონით დაისჯებიან.

რაულ ხაჯიმბა სიტუაციის განმუხტვას გაფართოებული შეხვედრის ორგანიზებით შეეცადა. მან კიდევ ერთხელ დადო პირობა, რომ რეფორმებს გაატარებს. გარდაქმნები შეეხება კონსტიტუციას, ასევე საგადასახადო და საფინანსო სფეროებს. კიდევ ერთხელ გაიცა დაპირება სამართალდამცავი ორგანოების მოდერნიზაციის თაობაზე.

ჯერჯერობით, შსს და პროკურატურა ვერ უვლიან გაზრდილ დამნაშავეობას. სამაგიეროდ, გააქტიურდა მიგრაციის სამსახური. ორიოდე დღის წინ სოხუმში 15 პირი აღმოაჩინეს სანებართვო დოკუმენტების გარეშე.

მიგრაციის უწყება მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე გადავიდა.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ჯონ ქერი ისლამ ქარიმოვს შეხვდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში ამ ქვეყნის დიქტატორს, 77 წლის ისლამ ქარიმოვს შეხვდა, რომელიც ქვეყნის სათავეში 1990 წლიდან დგას და მართლაც ძლიერი ავტორიტარული ხელისუფლების ფორმირება შეძლო.

ქარიმოვის რეჟიმის მიმართ ბევრ ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციას სერიოზული პრეტენზიები გააჩნია. ამ რეჟიმის ალტერნატივა მუსლიმანური ფუნდამენტალიზმია, რომელიც სულ უფრო აქტიურდება და ძლიერდება.

დროთა განმავლობაში აშშ შუა აზიის მიმართ სიფრთხილეს იჩენდა. ამან ცუდი შედეგები მოიტანა. ყირგიზეთმა ქვეყნიდან ამერიკული ბაზები გააძევა და ევრაზიული კავშირის წევრი გახდა, უზბეკეთში კი რუსული გავლენა გაიზარდა.

ვაშინგტონმაც გადაწყვიტა, ტაქტიკა შეეცვალა. ქერის შუააზიური ტურნე ამისი ნათელი დადასტურებაა.

სამარყანდში ჩასვლამდე ის ყირგიზეთს ესტუმრა. აქ ქერი ყირგიზეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა და ესაუბრა. ქერისა და ქარიმოვის მოლაპარაკებები კი დიპლომატიური ფორუმის ფონზე წარიმართა. მასში უზბეკეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს მონაწილეობა.

ქერიმ შუა აზიის წარმომადგენლებს ნათლად აგრძნობინა, რომ ვაშინგტონს მათდამი ინტერესი არ განელებია.

ამავე დროს, ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა შუა აზიაში ადამიანის უფლებების საკითხი კვლავ წინ წამოწიეს. ჯონ ქერისაც შუა აზიაში გამგზავრებამდე ჟურნალისტების უსიამოვნო შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოუხდა.

როგორ განვითარდება აშშ-სა და შუა აზიის რესპუბლიკებს შორის მომავალი ურთიერთობები?

ამას დრო გვაჩვენებს.

# თავდასხმა მოსკოვის უკრაინული კულტურის ცენტრზე



მოსკოვში უკრაინულ კულტურულ ცენტრზე თავდასხმა მოხდა. მისი ორგანიზატორი მოსკოვის ქალაქის საბჭოს დეპუტატი ზახაროვი იყო. ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად ის კულტურული ცენტრის შენობაში შეიჭრა. დაცვამ მისი შეჩერება სცადა, მაგრამ ამაოდ:

– აქ ბენდერელთა იატაკქვეშა ცენტრია! ჩემი ამოცანა მის გამოვლენა და მხილებაა, – გაჰყვიროდა ზახაროვი.

„ცენზორ ნეტის“ ცნობით, სწორედ ზახაროვმა უჩივლა ფსბ-ში მოსკოვის უკრაინულ ბიბლიოთეკას. ამას შედეგად ბიბლიოთეკის შენობაში ჩხრეკა და მისი დირექტორის, შარინას, შინაპატიმრობაში აყვანა მოჰყვა.

უკრაინული კულტურის ცენტრზე თავდასხმას ექსპერტები პროვოკაციად აფასებენ.

– უკრაინული ბიბლიოთეკა მოსკოვის მუნიციპალიტეტის საკუთრება გახლდათ და მის ბალანსზე იმყოფებოდა. რაც შეეხება კულტურულ ცენტრს, ის უკრაინული სახელმწიფოს საკუთრებაა. მასზე თავდასხმაც უკრაინაზე თავდასხმის ტოლფასია, – იტყობინება „ცენზორ ნეტი“.

# სირია: ისლამისტებმა ასადის არმიის თავდაცვითი ზღუდეები გაარღვიეს



ისლამისტებმა სირიის არმიის თავდაცვითი ზღუდეები გაარღვიეს და ქალაქი მოჰინი დაიკავეს.

ბრძოლის შედეგად სამთავრობო ჯარების 50-მდე მებრძოლია ლიკვიდირებული.

ახლა ექსტრემისტებს სტრატეგიული მნიშვნელობის შოსემდე მხოლოდ 20 კმ აშორებს. ეს შოსე ჰომსსა და დამასკოს ერთმანეთთან აკავშირებს.

# თურქეთში ვადამდელი არჩევნები ჩატარდა



თურქეთში ჩატარდა ვადამდელი არჩევნები.

მმართველმა პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მას მხარი 49,6%-მა დაუჭირა. ახლა მმართველ პარტიას საშუალება ეძლევა, მთავრობა ჩამოაყალიბოს.

პარლამენტში გასულმა მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ, რესპუბლიკურმა პარტიამ, 25,1% პროცენტი მიიღო.

პარლამენტში აგრეთვე მოხვდნენ ნაციონალისტური „ეროვნული მოძრაობა“ და „დემოკრატი ქურთების“ პარტია.

# ალ ქაიდა რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდებს



ალ ქაიდა ერთიანი ანტირუსული ფრონტის შექმნისაკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ორგანიზაციის ლიდერმა ზავაჰირიმ განაცხადა.

– მოვუწოდებ ყველა ისლამისტურ დაჯგუფებას, თურქესტანიდან აფრიკამდე, რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ტერორს ტერორით უნდა ვუპასუხოთ, – თქვა ზავაჰირიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საზოგადოება

# საპატრიარქო ე.წ. თვითმკვლელ ღვთისმშობლის ნახატს მკრეხელობად მიიჩნევს

ე.წ. თვითმკვლელ ღვთისმშობლის ნახატს საპატრიარქო მკრეხელობად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ნახატი სუიციდის პროპაგანდას წარმოადგენს. აღნიშნულის შესახებ საპატრიარქოს მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადების ტექსტი მედიას პრესმდივანმა, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ გააცნო.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ნახატი საზოგადოების რელიგიური გრძნობების შეურაცხმყოფელია, რაც ევროკავშირის ქვეყნებში სისხლის სამართლის დასჯადი ქმედებაა.

საპატრიარქო მიმართავს განათლების სამინისტროს, სახალხო დამცველს, რელიგიის საქმეთა სახელმწიფო სააგენტოს, დააფიქსირონ თავისი პოზიცია მომხდართან დაკავშირებით და მიიღონ ყველა ზომა საზოგადოების რელიგიური გრძნობების დაცვისა და დაძაბულობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად. ასევე მოუწოდებს მრევლს, თავი შეიკავონ როგორც ფიზიკური, ისე სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან.

– როგორც ცნობილი გახდა, ამა წლის 24 ოქტომბერს, ილიას უნივერსიტეტში სოციალური და კულტურული კვლევების ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია და მოეწყო გამოფენა. გამოფენაზე სხვებთან ერთად გამოტანილი იყო ნახატი, რომელზეც გამოსახულია მიდგომილი (ფეხმძიმე) ღვთისმშობელი საფეთქელზე მიდებული ცეცხლსასროლი იარაღით, რაც უდიდესი მკრეხელობაა.

ამ ფაქტს ჩვენი საზოგადოების დიდი აღშფოთება მოჰყვა. თუმცა, არიან ისეთი ჯგუფები, რომლებიც ამას ამართლებენ და აცხადებენ, რომ მომხდარი გამოხატვის თავისუფლების გამოვლინებაა და არ შეიძლება ხელოვნებას დაუწესდეს საზღვრები, რაც ჩვენთვის სრულიად მიუღებელი დამოკიდებულებაა.



მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთად მოაზროვნეები ახდენენ დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციას და მსგავსი ქმედებებითა და გამონათქვამებით, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას (არ ვგულისხმობთ მხოლოდ მართლმადიდებლებს) ევროპული არჩევანის საწინააღმდეგოდ განაწყობენ.

არადა, იგივე ევროპული კანონმდებლობით, გამოხატვის თავისუფლება განუხრელადაა დაკავშირებული პირის ვალდებულებასა და პასუხისმგებლობასთან, თავი შეიკავოს სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისაგან, ასევე ისეთი ქმედებებისაგან, რომელმაც საფრთხე შეიძლება შეუქმნას საზოგადოებრივ სიმშვიდეს. ამაზე მიუთითებს ევროპული კონვენციის მეათე მუხლი და სტრასბურგის სასამართლოს არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება.

არაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა თუ ღვთის გმობა, სისხლის სამართლის დასჯადი ქმედებაა ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანაში. მაგალითად, იტალიაში, მალტაში, გერმანიაში, ავსტრიაში, დანიაში და სხვაგან. ჩვენთან კი ლამის სისტემური ხასიათი მიეცა ასეთი მოვლენების ტირაჟირებას. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ილიას უნივერსიტეტში მსგავს ფაქტს ადრეც ჰქონდა ადგილი, მათ შორის, 2010 წლის მაისის თვეში.

რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ სასწავლებლის ხელმძღვანელობა იწვევს და ხელს უწყობს არა მარტო მორწმუნეთა შეურაცხყოფას, არამედ მათი სამოქალაქო სიმშვიდის დარღვევას.

როგორც ჩანს, ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პროვოცირება რელიგიური ადამიანებისა და შემდეგ ე. წ. მეცნიერული დაკვირვებები მათზე.

ისინი იმასაც კი აღარ უწევენ ანგარიშს, რომ აღნიშნული ნახატი სუიციდის პროპაგანდას წარმოადგენს. რომ აღარაფერი ვთქვათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მაცხოვრის მისიის სრულ უგულებელყოფაზე.

**ინტერპრესნიუსი**


# განცხადებები

## ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

## მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

## იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

## ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# დინამო ერთპიროვნული ლიდერია



გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ტორპედო – გურია 2:1**

**ქუთაისი.** რამაზ შენგელია
0:1 ბახია (35), 1:1 კლიმიაშვილი (75), 2:2 კაპანაძე (78)

თევდორაძე, ტაბატაძე, ნერგაძე, ბრეგვაძე (მამასახლისი 85), კლიმიაშვილი, კუხიანიძე, სიჭინავა (კირკიტაძე 46), ჭიჭინაძე, კახელიშვილი, ბაბუნაშვილი, კვერნაძე (კაპანაძე 46)

**გურია:** იმერლიშვილი, გელაშვილი, ჩადუნელი, ზოზულია, ხიზანეიშვილი, ნოზაძე, კობერიძე, მოსიაშვილი (რეხვიაშვილი 76), წილოსანი (ჩაფიძე 63, ქურდაძე 87), მაისურაძე, ბახია

ტორპედოს ეროვნულ ჩემპიონატში 20 სექტემბრის შემდეგ არ მოეგო და სატურნიროსთან ერთად, ამ მატჩის შედეგს ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მატჩის პირველი ნახევარი სწრაფ ტემპში წარიმართა. იმის მიუხედავად, რომ მთლიანობაში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, პირველი ხიფათი მეტოქის კართან მაინც გურიამ შექმნა. მე-10 წუთზე მარცხენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ ნიკოლოზ მაისურაძემ დაარტყა ქუთათურთა კარის მიმართულებით, მაგრამ მიზანს ოდნავ ააცილა.

პირველი რეალური საგოლე მომენტი თამაშის 21-ე წუთზე შეიქმნა, როცა გიორგი კუხიანიძის მიერ წამოწყებული სწრაფი იერიში მარცხენა ფლანგზე ოთარ კვერნაძის კარგი თამაშით, საჯარიმოში პასით და დათა სიჭინავასგან ბურთის ხარიხაზე გარტყმით დასრულდა.

ტორპედომ უმალ იქვე შექმნა მორიგი ხიფათი გურულთა კართან – მარცხენა ფლანგიდან გიორგი კახელიშვილის ჩაწოდებულ ბურთს თავი კვერნაძემ დაუხვედრა, მაგრამ ძალა ვერ დაატანა და იმერლიშვილს აღება არ გასჭირვებია.

35-ე წუთზე გურიას იშვიათი შეტევა მასპინძელთა კარში გატანილი გოლით დასრულდა. მარჯვენა ფლანგიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, ტორპედოს მეკარემ საკუთარი მცველის მიერ თავით გადმოგდებული ბურთი პირდაპირ სანდრო ბახიაზე მოიგერია და ამ უკანასკნელის დარტყმამ მიზანს მიაღწია – 0:1.

გაშვებულმა გოლმა მასპინძელთა შეტევები კიდევ უფრო გაამძაფრა. ჯერ 37-ე წუთზე გიორგი ნერგაძე ურტყამდა გურიას კარში, მაგრამ ბურთს მეკარე ადგილზე დაუხვდა. აქედან ხუთიოდე წუთში სიჭინავას დარტყმული ბურთი მცირედით გადასცდა ხარიხას. 44-ე წუთზე კი ტორპედოს ზედიზედ ორჯერ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება. კუთხურიდან კლიმიაშვილის ჩაწოდების შემდეგ კახელიშვილს მართებდა გატანა, მაგრამ დარტყმის სიძლიერემ დაალალატა; მერე სიჭინავასგან დაახლოებით 18 მეტრიდან დარტყმულს არც ძალა აკლდა, არც სიზუსტე, მაგრამ იმერლიშვილმა საოცარი რეაქციის გამოვლენის ხარჯზე შეძლო ბურთის კუთხურზე გადაგდება.

მეორე ტაიმი იმით დაიწყო, რომ ქუთათურთა უკრაინელმა თავკაცმა ორმაგი ცვლილება განახორციელა. პირველ ტაიმში საკმაოდ აქტიური სიჭინავასა და კვერნაძის ნაცვლად მინდორზე თორნიკე კაპანაძე და ტრავმამოშუშებული დავით კირკიტაძე შევიდნენ.

ალექსანდრ შტელინის გადაწყვეტილებამ რომ გაამართლა, საბოლოო შედეგიდანაც ჩანს. სწორედ კაპანაძემ შეძლო მატჩის 77-ე წუთზე გამარჯვების მომტანი გოლის გატანა. მარცხენა ფლანგიდან თენგიზ ბრეგვაძის ჩაწოდებული ბურთისთვის ბრძოლაში იგი ყველაზე მაღლა ახტა და მისგან თავით დარტყმული ბურთი ხარიხის გავლით სტუმართა კარის ხაზს შიგნით დაეცა – 2:1.

ამ მომენტამდე ორიოდე წუთით ადრე, ტორპედოს მიერ გათამაშებული მრავალსვლიანი კომბინაციის დასასრულს, სწორედ მეტოქის კარისაკენ ზურგით მყოფმა კაპანაძემ დაუგორა ბურთი დასარტყმელად მომზადებულ ირაკლი კლიმიაშვილს, რომელმაც შორიდან მძლავრად დაჰკრა და ბურთი იმერლიშვილისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაეხვა.

სხვათა შორის, კლიმიაშვილს გოლამდეც შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ლანჩხუთელთა მეკარემ მისგან დარტყმული გაჭირვებით მოიგერია.

არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა მატჩი, 57-ე წუთზე ვანო წილოსანის ბურთიანი სლალომი რევაზ თევდორაძეს რომ არ შეეჩერებინა. სტუმრებს მერეც შეეძლოთ გატანა, მაგრამ 83-ე წუთზე ლუკა ნოზაძისგან ძირსდაუშვებელ ბურთზე ძლიერად დარტყმის შემდეგ, თევდორაძემ იგი ეფექტური ნახტომით გადააგდო კუთხურზე.

საბოლოოდ, ტორპედომ 3 ქულა მიითვალა.

**დინამო – ჩიხურა 2:0**

**თბილისი.** დინამო არენა
1:0, 2:0 კიტეიშვილი (12, 87)
23-ე წუთზე მუმლაძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**დინამო:** ჰრდლიჩკა, კაკაბაძე, რენე, ჭელიძე, თევზაძე, ცინცაძე, პარუნაშვილი, ჯიღაური (არაბული 46), კიტეიშვილი, იაშვილი (ლობჟანიძე 61), ქვილითაია (ჯანელიძე 83)

**ჩიხურა:** კუპატაძე, გრიგალაშვილი, მეგრელიშვილი, განუგრავა, ჭელაშვილი (ჭანკოტაძე 61), მუმლაძე (დეკანოიძე 67), კორიფაძე, კურტანიძე (სარდალიშვილი 16), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია

**გაძევება:** გრიგალაშვილი (16)

მატჩი მთლიანად დედაქალაქელთა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა.

ანგარიში მე-12 წუთზე ოთარ კიტეიშვილმა გახსნა.

მე-16 წუთზე გიორგი ქვილითაია მეტოქის მეკარესთან პირისპირ გადიოდა, თუმცა თორნიკე გრიგალაშვილმა უხეში ვარდნით შეაჩერა და მსაჯისგან წითელი ბარათიც დაიმსახურა.

კაცნაკლულ ჩიხურას შეეძლო ანგარიშის გათანაბრება. 23-ე წუთზე დენის დობროვოლსკის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი, ალექსანდრე იაშვილს ხელზე მოხვდა და არბიტრმა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ მიანიშნა. თორნიკე მუმლაძის მიერ შესრულებული პენალტი ეფექტურ ნახტომში ლიბორ ჰრდლიჩკამ მოიგერია.

სამიოდე წუთში ჯაბა ჯიღაურის შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმულს კუთხური მოჰყვა. სტუმართა მეკარემ კიდევ რამდენჯერმე გამოიჩინა თავი, მათგან აღსანიშნავია გიორგი თევზაძის, ოთარ კიტეიშვილის და ტაიმის ბოლოს ალექსანდრე იაშვილის მიერ სახიფათო დარტყმების მოგერიება.

მეორე ნახევრის დებიუტში კიტეიშვილი თავით გზავნიდა ბურთს ჩიხურას კარისკენ, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა. შეცვლაზე შემოსული ბაჩანა არაბული და საბა ლობჟანიძეც აქტიურობდნენ. მეორე ტაიმი პირველთან შედარებით უფრო დაბალ ტემპში წარიმართა.

73-ე წუთზე დენის დობროვოლსკის სახიფათოდ დარტყმული ოდნავ აცდა დინამოელთა კარს. შეხვედრის ბოლოს თბილისელთა შეტევა ისევ ოთარ კიტეიშვილმა დაასრულა, დუბლი ჩაიწერა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

დინამოელებმა ამ მოგებით 25 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილს ლიდერობენ.



# ტრაბზონის პრეზიდენტის ჩაკეტილი მსაჯები თურქეთის პრეზიდენტმა გაათავისუფლა

თურქეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში შოთა არველაძის ტრაბზონსპორი გაზიანტეპსპორს შეხვდა. მატჩი 2:2 დასრულდა.

შეხვედრის შესახებ მოგვიანებით სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. კერძოდ, ტრაბზონის პრეზიდენტმა, იბრაჰიმ ჰაჯიოსმანოღლუმ ნამატჩევს მსაჯები სტადიონზე ჩაკეტა. პრეზიდენტი გაბრაზებული იყო იმის გამო, რომ მთავარმა არბიტრმა მისი გუნდის სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნა. მატჩის ოთხივე არბიტრი ღამის 4 საათამდე სტადიონზე იყო ჩაკეტილი.

საქმეში თვით თურქეთის პრეზიდენტი, რეჯეფ ტაიპ ერდოღანი ჩაერთო და მხოლოდ მისი ზარის შემდეგ გაათავისუფლეს არბიტრები.

ჯერჯერობით უცნობია, რა სანქციებს დაუწესებენ ტრაბზონს ამ ინციდენტის გამო.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**1 ნოემბერი**

**ინგლისი. პრემიერ ლიგა**

ევერტონი-სანდერლენდი .............. 6:2
საუთჰემპტონი-ბორნმუთი ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 11 | 8 | 1 | 2 | 26-9 | 25 |
| 2.არსენალი | 11 | 8 | 1 | 2 | 21-8 | 25 |
| 3.ლესტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 23-19 | 22 |
| 4.მანჩესტერი | 11 | 6 | 3 | 2 | 15-8 | 21 |
| 5.ვესტ ჰემი | 11 | 6 | 2 | 3 | 22-15 | 20 |
| 6.ტოტენჰემი | 10 | 4 | 5 | 1 | 16-8 | 17 |
| 7.საუთჰემპტონი | 11 | 4 | 5 | 2 | 18-13 | 17 |
| 8.ლივერპული | 11 | 4 | 5 | 2 | 12-12 | 17 |
| 9.ევერტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 19-15 | 16 |
| 10.კრ. პალასი | 11 | 5 | 1 | 5 | 12-11 | 16 |
| 11.უოტფორდი | 11 | 4 | 4 | 3 | 10-10 | 16 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-14 | 14 |
| 13.სუონსი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 14.სტოკი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-12 | 13 |
| 15.ჩელსი | 11 | 3 | 2 | 6 | 16-22 | 11 |
| 16.ნორვიჩი | 11 | 2 | 3 | 6 | 15-23 | 9 |
| 17.ბორნმუთი | 11 | 2 | 2 | 7 | 12-24 | 8 |
| 18.ნიუკასლი | 11 | 1 | 4 | 6 | 12-22 | 7 |
| 19.სანდერლენდი | 11 | 1 | 3 | 7 | 13-25 | 6 |
| 20.ასტონ ვილა | 10 | 1 | 1 | 8 | 9-17 | 4 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-რაიო .............................. 1:0
ესპანიოლი-გრანადა ...................... 1:1
ხიხონი-მალაგა ............................ 1:0
ბეტისი-ბილბაო ............................ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 10 | 7 | 3 | 0 | 24-4 | 24 |
| 2.ბარსელონა | 10 | 8 | 0 | 2 | 22-12 | 24 |
| 3.სელტა | 10 | 6 | 3 | 1 | 21-13 | 21 |
| 4.ატლეტიკო | 10 | 6 | 2 | 2 | 15-6 | 20 |
| 5.ვილიარეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 15-8 | 20 |
| 6.ეიბარი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-10 | 16 |
| 7.ვალენსია | 10 | 4 | 3 | 3 | 11-7 | 15 |
| 8.ბილბაო | 10 | 4 | 2 | 4 | 16-13 | 14 |
| 9.დეპორტივო | 10 | 3 | 5 | 2 | 15-12 | 14 |
| 10.ესპანიოლი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-21 | 13 |
| 11.სევილია | 10 | 3 | 3 | 4 | 14-14 | 12 |
| 12.ხიხონი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-14 | 12 |
| 13.ბეტისი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-16 | 12 |
| 14.ხეტაფე | 10 | 3 | 1 | 6 | 10-15 | 10 |
| 15.რაიო | 10 | 3 | 1 | 6 | 11-18 | 10 |
| 16.სოსიედადი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-12 | 9 |
| 17.მალაგა | 10 | 2 | 3 | 5 | 5-8 | 9 |
| 18.გრანადა | 10 | 1 | 4 | 5 | 10-18 | 7 |
| 19.ლას პალმასი | 10 | 1 | 3 | 6 | 7-16 | 6 |
| 20.ლევანტე | 10 | 1 | 3 | 6 | 6-22 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სარაგოსა-ელჩე .............................. 2:0
ალავესი-ალბასეტე ......................... 1:1
ლეგანესი-მალიორკა ....................... 0:0
ოსასუნა-ხირონა ............................ 0:1
ოვიედო-ბილბაო ბ ......................... 0:0
ალმერია-ვალიადოლიდი ................. 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-დარმშტადტი ............ 2:0
ჰამბურგი-ჰანოვერი ...................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 11 | 10 | 1 | 0 | 33-4 | 31 |
| 2.დორტმუნდი | 11 | 8 | 2 | 1 | 32-13 | 26 |
| 3.ვოლფსბურგი | 11 | 6 | 3 | 2 | 17-13 | 21 |
| 4.შალკე | 11 | 6 | 2 | 3 | 14-13 | 20 |
| 5.გლადბახი | 11 | 6 | 0 | 5 | 23-18 | 18 |
| 6.ჰერტა | 11 | 5 | 2 | 4 | 14-14 | 17 |
| 7.ლევერკუზენი | 11 | 5 | 2 | 4 | 13-14 | 17 |
| 8.ინგოლშტადტი | 11 | 4 | 3 | 4 | 7-9 | 15 |
| 9.კიოლნი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-17 | 15 |
| 10.ჰამბურგი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-15 | 14 |
| 11.აინტრახტი | 11 | 3 | 4 | 4 | 16-17 | 13 |
| 12.მაინცი | 11 | 4 | 1 | 6 | 16-19 | 13 |
| 13.დარმშტადტი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 14.ჰანოვერი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-19 | 11 |
| 15.შტუტგარტი | 11 | 3 | 1 | 7 | 17-23 | 10 |
| 16.ვერდერი | 11 | 3 | 1 | 7 | 11-18 | 10 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 11 | 1 | 4 | 6 | 12-19 | 7 |
| 18.აუგსბურგი | 11 | 1 | 3 | 7 | 12-23 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ბრაუნშვაიგი ............. 2:2
მიუნხენ 1860-დუისბურგი ............. 1:0
ზანდჰაუზენი-ლაიპციგი ............... 1:2

**იტალია. სერია ა**

ფიორენტინა-ფროზინონე ............. 4:1
ბოლონია-ატალანტა ..................... 3:0
კარპი-ვერონა ................................ 0:0
ჯენოა-ნაპოლი .............................. 0:0
უდინეზე-სასუოლო ........................ 0:0
ლაციო-მილანი .............................. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ფიორენტინა | 11 | 8 | 0 | 3 | 22-9 | 24 |
| 2.ინტერი | 11 | 7 | 3 | 1 | 11-7 | 24 |
| 3.რომა | 11 | 7 | 2 | 2 | 25-13 | 23 |
| 4.ნაპოლი | 11 | 6 | 4 | 1 | 21-8 | 22 |
| 5.სასუოლო | 11 | 5 | 4 | 2 | 13-10 | 19 |
| 6.მილანი | 11 | 6 | 1 | 4 | 15-16 | 19 |
| 7.ლაციო | 11 | 6 | 0 | 5 | 16-18 | 18 |
| 8.ატალანტა | 11 | 5 | 2 | 4 | 13-14 | 17 |
| 9.სამპდორია | 10 | 4 | 3 | 3 | 18-14 | 15 |
| 10.იუვენტუსი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-10 | 15 |
| 11.ტორინო | 11 | 4 | 3 | 4 | 17-17 | 15 |
| 12.კიევო | 10 | 3 | 3 | 4 | 13-10 | 12 |
| 13.ჯენოა | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 14.უდინეზე | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 15.ემპოლი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-15 | 11 |
| 16.პალერმო | 10 | 3 | 2 | 5 | 11-15 | 11 |
| 17.ფროზინონე | 11 | 3 | 1 | 7 | 9-16 | 10 |
| 18.ბოლონია | 11 | 3 | 0 | 8 | 9-15 | 9 |
| 19.ვერონა | 11 | 0 | 6 | 5 | 8-17 | 6 |
| 20.კარპი | 11 | 1 | 3 | 7 | 10-23 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

სპეცია-ენტელა .............................. 0:0

**საფრანგეთი.**

**1 ლიგა**

ნიცა-ლილი .................................... 0:0
მონაკო-ანჟე .................................. 1:0
ნანტი-მარსელი .............................. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 12 | 10 | 2 | 0 | 26-6 | 32 |
| 2.ლიონი | 12 | 6 | 4 | 2 | 16-7 | 22 |
| 3.ანჟე | 12 | 6 | 4 | 2 | 12-7 | 22 |
| 4.სტ.ეტიენი | 12 | 7 | 1 | 4 | 17-14 | 22 |
| 5.კაენი | 12 | 7 | 0 | 5 | 12-13 | 21 |
| 6.მონაკო | 12 | 5 | 5 | 2 | 16-15 | 20 |
| 7.ნიცა | 11 | 5 | 3 | 3 | 25-15 | 18 |
| 8.ლორიანი | 12 | 4 | 5 | 3 | 18-17 | 17 |
| 9.რენი | 12 | 4 | 5 | 3 | 15-14 | 17 |
| 10.ნანტი | 11 | 5 | 1 | 5 | 9-11 | 16 |
| 11.გენგამი | 12 | 4 | 4 | 4 | 12-15 | 16 |
| 12.მარსელი | 12 | 4 | 3 | 5 | 18-13 | 15 |
| 13.რეიმსი | 12 | 4 | 3 | 5 | 11-12 | 15 |
| 14.ბორდო | 12 | 3 | 5 | 4 | 14-18 | 14 |
| 15.ბასტია | 12 | 4 | 1 | 7 | 13-18 | 13 |
| 16.ლილი | 12 | 2 | 6 | 4 | 6-7 | 12 |
| 17.მონპელიე | 12 | 2 | 3 | 7 | 9-15 | 9 |
| 18.გაზელეკი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-16 | 9 |
| 19.ტულუზა | 12 | 1 | 6 | 5 | 12-21 | 9 |
| 20.ტრუა | 12 | 0 | 4 | 8 | 5-21 | 4 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

დენ ჰააგი-ფეიენოორდი ................. 1:0
ჰერენვენი-კამბური ........................ 2:0
უტრეხტი-ტვენტე ........................... 4:2
ალკმაარი-ნაიმეგენი ...................... 2:4

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აკადემიკა-მორეირენსე ................. 1:1
რიუ ავე-ნასიონალი ....................... 1:0
სეტუბალი-აროუკა ......................... 0:0
ბოავიშტა-მარიტიმუ ...................... 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-დინამო ............................ 0:4
ანჟი-რუბინი ................................. 1:2
ყუბანი-ლოკომოტივი ...................... 6:2
სპარტაკი-ურალი ........................... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუგანო-სიონი ............................... 3:0
იანგ ბოიზი-ციურიხი ..................... 1:1
სტ.გალენი-ლუცერნი ...................... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერბურგი-აუსტრია .................. 1:1

**ბელგია. პრო ლიგა**

სტ.ტრუიდენი-სტანდარდი ............ 1:0
ანდერლეხტი-მუსკრონი ................. 2:0
ვარეგემი-კორტრაიკი .................... 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-პაოკი ............................ 2:1
იანინა-პანთრათიკოსი .................... 2:0
ქსანთი-პანეთოლიკოსი ................. 3:1
პანათინაიკოსი-აეკი ..................... 0:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

პლზენი-სპარტა ............................ 2:1
ტეპლიცე-სლავია .......................... 0:1

**უკრაინა. პრემ მატჩ ლიგა**

ჩერნომორეცი-სტალი .................... 1:1
ოლექსანდრია-ვორსკლა ............... 1:1
ვოლინი-ჰოვერლა ......................... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-ჰობრო .......................... 6:0
კოპენჰაგენი-რანდერსი ................. 4:0
ოდენსე-ბრონდბიუ ....................... 2:5

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-სარპსბორგი ......... 3:1
მიონდალენი-ალესუნდი ................ 1:2
მიოლდე-ვიკინგი .......................... 4:1
რუსენბორგი-ჰაუგესუნდი ............ 4:3
სანდერფიორდი-სტრომგოდსეტი . 1:2
ტრომსო-ბოდო გლიმტი ................. 3:1
ვალერენგა-ოდ გრელანდი ............ 2:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ლესბოსელებმა პოლიციელს უჩივლეს



კორტნი უილსონმა და ტეილორ გერერომ, ლოს-ანჯელესიდან, პოლიციელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი მას შემდეგ შეიტანეს, როდესაც მან ისინი ჰავაიში სავაჭრო ცენტრში კოცნის გამო დააპატიმრა. გოგონები ჰავაიში ატარებდნენ შვებულებას.

სარჩელი აშშ-ს ფედერალურ სასამართლოში იქნა შეტანილი. მასში 25 წლის უილსონი და 21 წლის გერერო აცხადებენ, რომ ბობი ჰარისონმა ისინი 2015 წლის 3 მარტს დააპატიმრა კუნძულ ოაჰუზე მდებარე სავაჭრო ცენტრში საკუთარი გრძნობების სახალხოდ დემონსტრირებისთვის.

გოგონების თქმით, პოლიციელი ნივთის შეძენით იყო დაკავებული, როდესაც შენიშნა, რომ ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. მან მოითხოვა, რომ მათ დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ მსგავსი ქმედება. შეყვარებულებმა პოლიციელის მოთხოვნას ყურადღება არ მიაქციეს, რაზეც სამართალდამცავის მხრიდან მუქარა გაისმა.

უილსონმა მაშველთა სამსახურში დარეკვა სცადა, მაგრამ მას ამის საშუალება პოლიციელმა არ მისცა, ხელში ხელი სტაცა, ხოლო როდესაც გერერომ სცადა საქმეში ჩარეული ყო, პოლიციელმა მას ხელი უბიძგა, გოგონა დაეცა და თავი დახლს მიარტყა. ამის შემდეგ ჰარისონმა უილსონი იატაკზე დააგდო და უთხრა, რომ ის სამართალდამცავზე თავდასხმისთვისაა დაკავებული. იმის გამო, რომ ჰარისონი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში არ იმყოფებოდა, მას თან არც ხელბორკილები ჰქონდა და ამიტომ დაკავებულებს ხელები პლასტმასის მავთულებით შეუკრა. წყვილს სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდება წარედგინათ, რომელიც ხუთი თვის შემდეგ მოეხსნათ. ქალაქ გონოლულუს პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, დაწყებულია საქმის შიდა მოკვლევა,

# ამერიკელი დედა იჯარით



ნიუიორკელმა თეატრის პროდიუსერმა ნინა კენილიმ აამუშავა სერვისი, რომელიც დედის იჯარით აყვანას ითვალისწინებს.

ამერიკის თეატრალური პრემიის „ტონის“ მფლობელს, ბავშვების აღზრდის 30 წლიანი გამოცდილება აქვს. ქალი საკუთარ თავს დედის დროებით შემცვლელად სთავაზობს. მისი თქმით, ის კარგი მომსმენი და სწორი რჩევების მიმცემი იქნება.

ცნობილი არ არის, თუ რა ღირს კენილის მომსახურება და რა დროითაა შესაძლებელი მისი იჯარით აყვანა, სამაგიეროდ ცნობილია, თუ რას ითვალისწინებს მისი მომსახურება.

კერძოდ, კენილი პირობას დებს, რომ ყურადღებას არ მიაქცევს არც შემკვეთის და არც მისი მეგობრების ვარცხნილობას ან დიეტას, მისგან არ უნდა ელოდნენ საჩუქრებს და სელფის გადაღებას. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ მზად არის, მოუსმინოს „შვილებს“ ჭიქა ყავის ან ღვინის თანხლებით, დააუთოვოს პერანგები, მათთან ერთად უყუროს კინოს, მოამზადოს საყვარელი კერძი და იყიდოს საშობაო საჩუქრები.

# ბრიტანულმა ოჯახმა ჰელოუინზე 20 ათასი ფუნტი დახარჯა




დიდი ბრიტანეთის ქალაქ პრესტონში მცხოვრებმა უოლტონების ოჯახმა 20 ათასი ფუნტი დახარჯა სახლის დეკორაციაზე, რომელიც „ზომბი აპოკალიფსის“ სტილშია გადაწყვეტილი. ამით დაამშვენეს მათ საკუთარი სახლი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ეს ყოველივე კი ჰელოუინის დღესასწაულს მიეძღვნა.

უოლტონებმა სახლის შესასვლელთან ზომბის რამდენიმე ფიგურა განათავსეს, რომლებიც ავტომობილს ამტვრევენ, და საგზაო ნიშანი წარწერით „მკვდრები შიგნით არიან“.

ოჯახი ჰელოუინისთვის ამ დეკორაციებს ათი თვის მანძილზე გეგმავდა, ზოგიერთი ექსპონატი მათ აშშ-დან თავად ჩამოიტანეს. სახლში ოთახებს შემდეგი სახელები დაერქვა: „ზომბის სახლი“, „დრაკულას ბუნაგი“, „ეშმაკეულის განსადევნი ოთახი“ და „მოჩვენებების კარნავალი“.

ოჯახის 48 წლის უფროსმა და ბიზნესმენმა კრის უოლტმა განაცხადა, რომ თავს დიდ ბავშვად მიიჩნევს და უყვარს დეკორაციები.

# ნორვეგიელმა ვიკინგების ხმალი იპოვა



ნორვეგიელმა გორან ოლსენმა სოფელ ჰაუკელიში გასეირნების დროს ვიკინგების ხმალი იპოვა, რომელიც ათასზე მეტი წლისაა.

გასეირნების დროს მისი ყურადღება დაახლოებით 76 სანტიმეტრის სიგრძის ობიექტმა მიიპყრო, რომელიც ქვების ქვეშ იდო. დათვალიერების შედეგად მან არტეფაქტს მიაგნო, რომელიც ვიკინგების რკინის ხმალი აღმოჩნდა და რომლის ასაკი 1200 წელზე მეტია.

აღსანიშნავია, რომ ხმალი უჩვეულოდ კარგადაა შენახული და მხოლოდ ზედაპირზე ჟანგითაა დაფარული, რაც ყინვითა და თოვლის ქვეშ ყოფნითაა განპირობებული.

ერთ-ერთი სპეციალისტის განცხადებით, იარაღი იმდენად კარგადაა შენახული, რომ მისი გამოყენება ახლაც კი შესაძლებელია, მხოლოდ პირის გალესვაა საჭირო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# ვითა ფავორიტებთან იბრძვის

**ვითა (საქართველო) – ლოკომოტივი (რუსეთი) 63:76 (21:19, 13:17, 15:23, 14:17)**

ვითა რჩება ერთადერთ გუნდად, რომელსაც ვითიბი ლიგაში მატჩი არ მოუგია. ვითას არც ორქულიანი სროლების ჩინებულმა პროცენტულმა მაჩვენებელმა (57) უშველა და არც დარიუს კარტერის ორმაგმა დუბლმა (20 ქულა, 11 მოხსნა). თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვითელებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს აშკარა ფავორიტად მიჩნეულ მეტოქეს.

ლიგის დებიუტანტმა მატჩი კარგად დაიწყო. მასპინძლებმა აჩვენეს, რომ ქაღალდზე ფავორიტობა სულაც არ ნიშნავს იგივეს პარკეტზე. ვითა დაცვაშიც კარგად გამოიყურებოდა და შეტევაშიც. განსაკუთრებით უჭირდა ლოკომოტივს სამწამიანში, ამიტომაც აქცენტი შორეულ სროლებზე გადაიტანეს, რასაც შედეგი არ მოჰქონდა და დიდ შესვენებაზე სტუმრები მხოლოდ 2-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

სწორედ შესვენების შემდეგ ათამაშდნენ სტუმრები, როდესაც მიჯრით 11 ქულა აიღეს და ინიციატივა გადაიბარეს. დარჩენილ დროში სხვაობა აღარ შეცვლილა და ლოკომოტივმა თბილისში 76:63 მოიგო.

მ. ჟ.

# ზაზა ფაჩულია – ისევ ორმაგი დუბლი, ამჯერად ლეიკერსთან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მასთან სტუმრად გამართული მატჩი 81:86 დათმო, ქართველი ფორვარდი კი მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ბურჯანაძე სასტარტო ხუთეულში გახლდათ და 32 წუთში 19 ქულა, 10 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. ჩვენებურმა 7-დან 6 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო. ბურჯანაძე სავარაუდოდ მეტსაც ითამაშებდა, მე-5 პერსონალური რომ არ მიეღო.

კორუნას 4 მარცხი და 1 გამარჯვება აქვს და 16-გუნდიან ლიგაში მე-13 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი 6 ნოემბერს, შინ, ბურგოსთან გამართავს.

ნიკა მეტრეველის გუნდი, რომელიც იტალიის უმაღლეს სერია ა-ში ლიდერთა შორის იყო, მე-5 ტურში დამარცხადა და ცხრილის შუისკენ დაქვეითდა. კაპო დორლანდომ შინ დაძაბულ ბრძოლაში წააგო ვარეზესთან – 62:66.

მეტრეველი ორლანდოელთა სასტარტო ხუთეულის უცვლელ წევრად იქცა, მაგრამ ვარეზესთან ნაადრევად დაუგროვდა პერსონალურები და ამის გამო სათადარიგოთა სკამზე გადაჯდომა მოუწია.

საბოლოოდ, ნიკამ 18 წუთი ითამაშა, რის განმავლობაშიც 3 ქულა, 5 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. მეტრეველმა 1 სამქულიანი ჩააგდო და სამივე ორიანი ააცილა.

3 მოგებითა და 2 მარცხით კაპო დორლანდო 16-გუნდიან სერია ა-ში მე-7 ადგილზეა. მეტრეველის გუნდი მომდევნო ტურის მატჩს 8 ნოემბერს, სტუმრად კასერტსთან გამართავს.

მ. ჟ.



რუსუდან და ბესო ქარდავებს
და მათ მძახლებს,
რომლებსაც მომავალში
გავიცნობთ, ვულოცავთ შვილების
ქეთი გაბელიასა
და ნიკა ქარდავას
გაბედნიერებას და ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელობას,
ბედნიერებასა და წარმატებებს ერისა და ქვეყნის სამსახურში,
შთამომავლების სიმრავლეს და აფხაზეთში დაბრუნებას.

ნოდარ ზარანდია, რევაზ ეზუგბაია,
ომარ გოგოხია, ბიძინა ლემონჯავა, შალვა
ბეთხოშვილი, ზურაბ ბუკია, რაჟდენ ქარდავა

# ასტროპროგნოზი

## 3 ნოემბრისათვის



**ვერძი** – შემოქმედებითი პოტენციალი საკმაოდ იზრდება, რომელიც შესაძლებლობებს მოგცემთ, იდეებს ხორცი შეასხათ. **კურო** – რომანტიკულად ხართ განწყობილი. თქვენი დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა დღეს უთუოდ წაგადგებათ. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა, რომელიც დიდ ენერგიას წაგართმევთ. კეთილისმყოფელი პერიოდია შემოქმედი ადამიანებისათვის. ბიზნესმენებმა ადრე დაწყებული საქმე უნდა დაამთავროთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში დიდი გამარჯვება გელით. რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში კეთილგონიერება და ინტუიცია დაგეხმარებათ. **ლომი** – გასაჭირში მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. იაქტიურეთ. შემოქმედებითი დღეა. თუ კარგად იმუშავებთ, შედეგიც არ დააყოვნებს. **ქალწული** – ძველი უსიამოვნებები დაივიწყეთ. კეთილისმყოფელი დღეა. იაქტიურეთ და შედეგს სულ მალე მიიღებთ. რისკი გაამართლებს. ბავშვებთან ურთიერთობისას მეტი სითბო და ტაქტი გამოიჩინეთ. **სასწორი** – ყველა საქმეს იოლად აგვარებთ. პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. **ღრიანკალი** – ემოციურ ამაღლებას განიცდით. კეთილისმყოფელი პერიოდია შემოქმედი ადამიანებისათვის. ბიზნესმენებმა ადრე დაწყებული საქმე უნდა დაამთავროთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერ ხასიათზე ხართ. მზად იყავით ახალი რომანტიკული თავგადასავლებისათვის. **თხის რქა** – ძველ მეგობართან შეხვედრა ძალიან გაგახარებთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ და დასახული მიზნისკენ სვლა არ შეანელოთ. წარმატება გელით კარიერასა და ფინანსურ ოპერაციებში. **მერწყული** – მომავალს შიშით შეჰყურებთ, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა. ნებისმიერი საქმიანი წინადადება მხოლოდ გულმოდგინე ანალიზის შემდეგ მიიღეთ. **თევზები** – თქვენი პესიმიზმი უკვალოდ ქრება. ერიდეთ ხალხმრავლობასა და საქმის გარჩევებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



შვეულად: 1. მდინარე საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 2. კუთხე საქართველოში; 3. საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 4. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 6. აეროპორტი მადრიდში; 9. გემის, თვითმფრინავის აცდენა კურსიდან ქარის ან წყლის დინების გავლენით; 11. ხევსურული ტანსაცმელი; 12. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 17. ტროპიკული ხილი; 18. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში.

თარაზულად: 1. ქალაქი იმერეთში; 5. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 7. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 9. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 10. უდაბნო ჩილეში; 13. სამხაზველო ხელსაწყო; 14. მწვანეთი მოსილი წყლიანი ადგილი უდაბნოში; 15. შტატი აშშ-ში; 19. იტალიური ვერმუტი; 20. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 22. მოღრუბლული დილა.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კალმახი; 6. კაქტუსი; 8. ხელი; 9. პოსტი; 10. აპრილი; 11. კატა; 13. კაშალოტი; 14. ლორი; 16. კალია; 18. მატლი; 20. მამლუქი; 21. ტანკეტი.

**შვეულად:** 1. ამბარი; 2. ახმახი; 3. ეტალონი; 4. ვიტრინა; 5. კალმარი; 7. პალიტრა; 11. კარტი; 12. ვილისი; 13. კარტელი; 14. ლითიუმი; 15. პირატი; 17. ალსეკო; 19. პელე.

**სკანვორდის პასუხები:**

1. რაფია; 2. კი; 3. პარაბოლოიდი; 4. პარტიტა; 5. შკოდა; 6. ტრიგონომეტრია; 7. იორი; 8. ხაბარდა; 9. რაიკინი; 10. ირტიში; 11. ბუხარა; 12. მანეკენი; 13. ნამყო; 14. გემო; 15. ოდა; 16. ნარდი; 17. ამარეტო; 18. ამაო; 19. როკ; 20. ემე; 21. ინა; 22. ან; 23. ჰუნე; 24. ნარიყალა; 25. კარნეგი; 26. აკა; 27. ტანინი; 28. იაკინთე; 29. ერა; 30. მერინოსი; 31. ესენტუკი; 32. აისბერგი

**სურათებზე:** ანეტ ბენინგი; რობინიო.

# ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ: „ᲠᲐᲡ ᲔᲠᲩᲘᲗ ᲩᲔᲛᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ?“

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და ამერიკის ელჩს ღია წერილით მიმართავს:

– ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა და დემოკრატიის პრინციპები, რომელიც ამერიკის პატრიარქებმა ჩამოაყალიბეს ფრანგი განმანათლებლების ნაშრომებზე დაყრდნობით; მაგრამ მინდა შეგეკითხოთ და, იმედია, პასუხსაც მომახსენებთ, თუ სერიალი „ბანქოს სახლი“ მთლად სიმართლე არ არის.

რას ერჩით ჩემს პატარა ქვეყანას? რა სიმდიდრე აღმოაჩინეთ ჩვენ მიწაზე, ნავთობი თუ ოქრო, ასე რომ ზრუნავთ ქართველებზე? დღეს, როცა ყველაფერს უსმენენ, ხედავენ, ისე, რომ ტუალეტში შესვლა გრცხვენია, ქალის კოცნაზე ხომ არაფერს ვამბობ, პანიკური შიში მიპყრობს, კოსმოსიდან გვიცქერენ, რატომ იცავთ იმ ავაზაკთა ბანდას, საქართველო რომ გაანადგურა, მოსპო დემოკრატია, გახრწნა და ფულებით გაბერა ვიღაც-ვიღაცა ჩინოვნიკები.

რატომ ურეკავთ, არიგებთ და ასე საეჭვოდ ეხმარებით ავადმყოფს, ვისაც ნამდვილი ამერიკელი ხელსაც არ ჩამოართმევდა.

იქნებ ამიხსნათ, რა ბოროტება დაატყდა ჩვენს პატარა ერს, რომ ხალხის სურვილს არ ითვალისწინებთ, და გვიკრძალავთ საკუთარ აზრს და გვკარნახობთ, თუ როგორ მოვიქცეთ? თუ რაღაც დიდი სტრატეგიული საიდუმლო არ გახლავთ, ბატონო ელჩო, თუ ამის უფლება გაქვთ, დიპლომატიურად მაინც მიპასუხეთ.

ამერიკის პატრიოტი რობერტ სტურუა!

**პ.ს.** თუ ინებებთ, პრეზიდენტებზე ცალკე ვისაუბროთ!





# ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲓ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ

„არტ აკადემიის“ დამფუძნებელი და პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი სენაკელებმა საპატიო მოქალაქის სიგელით დააჯილდოვეს. არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებული სამეგრელოში საპატიო მედლითა და სიგელით დაჯილდოვდა.

ინფორმაცია ამის შესახებ პიანისტმა თავად გაავრცელა:

– დღეს მომცეს პრემია. მადლობა სენაკს, მადლობა სამეგრელოს.

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ვალერიან შიუკაშვილს სენაკის საპატიო მოქალაქის წოდება იმ კეთილი საქმეებისთვის მიენიჭა, რომლებსაც ის წლებია მომავალი თაობებისთვის აკეთებს.

# ᲗᲐᲙᲝ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲒᲐᲥᲣᲠᲓᲔᲡ

მომღერალ თაკო გაჩეჩილაძის მანქანა გაქურდეს. მის ახალ ავტომობილს ნიკელის ნაწილი მოპარეს, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს.

ინფორმაცია ამის შესახებ თაკომ თავად გაავრცელა და განმარტა, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები მას მინიმუმ 20 წლით უკან აბრუნებს და „ედიკას“ დროს ახსენებს.

თაკო გაჩეჩილაძე:

– დილას რომ დაგხვდება მანქანის ნაწილი მოპარული, „ედიკას“ დროს როგორც იყო, 20 წლის მერეც იგივე მეორდება. სირცხვილია!

თაკო მეგობრებმა გაამხნევეს და ყველამ აღიარა, რომ ბოლო პერიოდში ქურდებმა მათ მანქანებსაც მოხსნეს ნაწილები.



# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲝᲘᲒᲔᲡ

ესპანეთში გამართულ ევროპის საერთაშორისო საგუნდო კონკურს-ფესტივალზე ქართველმა მომღერლებმა ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

ესპანეთის ქალაქ ბარსელონა-კალელიაში გამართულ ფესტივალში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის, იყვნენ კონკურსანტები საქართველოდანაც. ევროპის საერთაშორისო საგუნდო კონკურს-ფესტივალი კონკურსანტებს ხუთი დღის განმავლობაში მასპინძლობდა.

რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდი ვერცხლის პრიზიორი გახდა და დიპლომიც გადაეცა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის 30-მა აღსაზრდელმა.

რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა სხვადასხვა ფესტივალების, კონკურსებისა და გამოფენების გამარჯვებულია. მათ რიცხვს ესპანეთში გამარჯვებაც შეემატა.

**ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ-ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲙᲔᲚᲞᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲐᲜ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲐ!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154.

„მწვანე ოფისი“.

# ᲚᲔᲕᲐᲜ ᲩᲘᲩᲣᲐ ᲒᲐᲪᲝᲤᲔᲑᲣᲚᲘᲐ



მომღერალი და საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა ნაკრების წევრი ლევან ჩიჩუა, იგივე თი ელი ქვეყანაში განვითარებული მოვლენებით გაცოფებულია.

მომღერალი, რომელიც ფართო საზოგადოებამ სხვადასხვა მუსიკალური შოუებიდან გაიცნო და ბოლოს „ცეკვავენ ვარსკვლავებშიც“ მეორე ადგილის მფლობელი გახდა, დაუსრულებელი პოლიტიკური ისტერიებით გადაიღალა.

**თი ელი:**

– მე ვარ 33 წლის საქართველოს მოქალაქე, ამ 33 წლიდან 23 წელი ტვინი მაქვს მო..ნული თქვენი პოლიტიკით, რა ვერ გაიყავით თქვენი გაუმაძღარი არა ადამიანი დედები მოვ..ან! თქვენი ძალით ქართველი, ძალით გვერდში მდგომი და ვითომ პატრიოტი ასევე დედები მოვ..ან! თუმცა თქვენმა დედებმა რა დააშავეს... მოგი..ანთ ადამიანობა გული და სული! თფუ... ბოდიშს გიხდით უწმაწური სიტყვებისთვის!

# ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲨᲘ

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგის“ ფარგლებში თურქეთში საკვლევი ექსპედიციები ტარდება.

ერთ-ერთი ბოლო ექსპედიციის დროს, ისტორიულ კლარჯეთში წარწერიან ქვას მიაკვლიეს. წარწერის ტექნიკური აღწერილობა ასეთია: წარწერა ამოკვეთილია კარგად დამუშავებული ზედაპირის მქონე ღვინისფერ ქვის ფილაზე, რომელიც ისტორიული კლარჯეთის სოფელ კლარჯეთის ერთ-ერთი მაჰალეს თიკმანეთის ჯამეს სამხრეთის კედელშია ჩადგმული.

ძველად ჯამეს ადგილას ეკლესია მდგარა და წარწერიანი ფილაც, სავარაუდოდ, სწორედ იმ ეკლესიის პერანგის სწორკუთხა ქვის ფრაგმენტი უნდა იყოს. წარწერიანი ქვის ფრაგმენტის ზომაა 30 X 35სმ, წარწერის ტექსტს ქვის ფილის ზედა 3/4 ნაწილი უჭირავს, ქვის ფილის ქვედა 1/4 ნაწილი დაუწერლად არის დატოვებული, რაც მიუთითებს, რომ ტექსტი აქ აღარ გრძელდებოდა.

წარწერამ ჩვენამდე ძალზე ნაკლული სახით მოაღწია. დღეისათვის მისი ტექსტიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი სტრიქონი, რომლებსაც, ქვის ფილის მარცხენა და მარჯვენა ნაწილების დაკარგვის გამო, დასაწყისი და დასასრული ფრაგმენტები აკლია.

# ᲜᲣᲙᲐ ᲧᲐᲠᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — „ᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 2015“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტიტოვა, მარიამ გუჩუა, თეო წოწერია, თამთა ჯოჯიშვილი, მაკუნა ამაშუკელი, მარიამ შერაზადიშვილი, ვიქტორია კოჩრეოვი, თუთა სალარეიშვილი, ანუკა სიხარულიძე, ანი ხარაზიშვილი, გრეტა შერგელაშვილი – სწორედ ეს გოგონები შეარჩია სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრმა“ „მის საქართველო 2015“-ის ფინალისთვის.

„მის საქართველო 2015“-ის გამარჯვებულ ნუკა ყარალაშვილს გადაეცა სილამაზის კონკურსის მთავარი პრიზი, საოცნებო ავტომობილი მინი კუპერ კაუპი. გარდამავალი დიადემა ნუკას შარშანდელმა მის საქართველომ ანა ზუბაშვილმა დაადგა.

„მის საქართველო 2015“-ის ტიტულის მფლობელი გაემგზავრება საერთაშორისო კონკურსზე „მის მსოფლიო 2015“, რომელიც ჩინეთის ქალაქ სანიაში 19 დეკემბერს გაიმართება.

ტოპ-ხუთეულის წევრები მომავალ წელს სილამაზის სხვადასხვა პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებზე საქართველოს სახელით გაემგზავრებიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

*დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებულ წამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები.*

*თოდუების გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.*

*ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო წამლებს უკუჩვენება არ აქვს.*

**ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲝᲓᲣᲐ:**

- ვკურნავ ნაწოლებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგიწმენდთ ორგანიზმს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.
- ვარჩენ „პრიშჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.
- ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.

• • •

ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის გაწმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დამზადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.

**ᲛᲘᲡ.: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166; №10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ №1 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ; ᲢᲔᲚ.: 230-62-52; 599-16-10-82**

## TV ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

სამშაბათი
3 ნოემბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ**" **11.00** ტ/სერ. "**ᲩᲔᲜᲢᲝ ᲕᲔᲢᲠᲘᲜᲔ**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.05** მხ/ფ "**ᲥᲠᲘᲡᲗᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲗᲔᲠ ᲒᲔᲤᲨᲘ**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ᲜᲘᲙᲘᲢᲐ**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ᲑᲐᲜᲥᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ**" **21.58** "კომუნიკატორი" **22.00** მხ/ფ "**ᲕᲐᲘ" ᲓᲔᲓᲘᲙᲝ!**" **23.40 ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი. **01.40** სპორტული გადაცემა **02.10** მხ/ფ "**ᲑᲐᲡᲙᲔᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲦᲚᲘ**"

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ბერები ლაბორატორიაში" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **12.00** მხ/ფ "**ᲔᲡ ᲡᲐᲡᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔ**" **14.00, 22.00** ტ/სერ. "**ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ**" **16.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **18.00** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა". **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **22.30** "ნამდვილი დრო" **23.40 ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ** – "ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ტურნირი

**06.00** სერ. "**ᲠᲝᲑᲘᲜ ᲰᲣᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ**" **2** სერ. **07.00** სერ. "**ᲙᲐᲠᲛᲐ**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ᲒᲖᲐᲯᲕᲐᲠᲔᲓᲘᲜᲘ**" **11.20** სერ. "**ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ᲝᲠᲘ ᲑᲔᲓᲘ**" **17.35** სერ. "**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ**" **2** სერ. **18.45, 19.03** სერ. "**ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲐᲚᲘ**" **20.55** სერ. "**ᲜᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲔᲑᲘ**" **22.00** VOICE- საქართველო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**ᲚᲝᲚᲣᲐ ᲛᲐᲘᲐᲛᲘᲓᲐᲜ**" (რ.ზელვეგერი) **02.55** მხ/ფ "**ᲡᲐᲜᲔᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲔᲡᲐ**

**07.00, 15.40** სერ. "**ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ᲛᲝᲯᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ**" **18.55** სერ. "**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡᲪᲐ**" **19.55** სერ. "**ᲥᲐᲠᲐᲓᲐᲘ**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.10** სპექტაკლი "**ᲡᲐᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘ**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი ხატწერის შესახებ **10.40** საქართველოს ქალაქები-ბათუმი **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება "მარიონეტები–ქეთი ძიძიგური" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მხ/ფ "**ᲕᲘᲜ ᲨᲔᲙᲐᲖᲛᲐᲕᲡ ᲪᲮᲔᲜᲡ**" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საუკუნის პორტრეტები-"შალვა მაღლაკელიძე" **16.20** კონცერტი **17.00** მგზავრები წუთისოფლისა "სოფ. წერაქვი" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-"მაჭახელა (ხელვაჩაური)" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "გაუცინარი ხელმწიფე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ**" **11.05 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲥᲣᲖᲔᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲔᲘ**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲓᲠᲝ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ**" **17.05 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **19.05 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲕᲐᲜᲒᲔᲚᲘᲐ**" **1.30 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ**" **2.15 ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ** "**ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**3 ნოემბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3980

ევრო — 2.6414

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6838

100 რუსული რუბლი — 3.7468




**ამინდის პროგნოზი 3 ნოემბრისთვის**



## კალეიდოსკოპი

## კაილი მინოუგმა საშობაო სეზონი გახსნა



ავსტრალიელმა მომღერალმა კაილი მინოუგმა ლონდონში საშობაო სეზონის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. პოპ-შემსრულებელმა სადღესასწაულო ჩირაღდნები სახელგანთქმულ სავაჭრო ქუჩა ოქსფორდ-სტრიტზე აანთო. წელს მოსართავებად გამოყენებულია ვერცხლის სანათები და 445 ოქროს ბურთულა.

მინოუგი პირველი ცნობილი პიროვნება არ არის, რომელმაც საშობაო სეზონი გახსნა დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში. მანამდე სადღესასწაულო განათება ოქსფორდ-სტრიტზე აანთეს მომღერლებმა შერილ კოულმა და ჯესი ჯეიმ, რობინ უილიამსმა და ჯგუფმა სპეის გერლსმა.

საზეიმო ცერემონიას ათასზე მეტი ადამიანი ადევნებდა თვალს, რომელთა ნაწილი შემდეგ საკუთარ შთაბეჭდილებებს ტვიტერში გამოხატავდა.

## ორეულები თვითმფრინავში შეხვდნენ



თვითმფრინავის მგზავრი საჰაერო ხომალდის სალონში შემთხვევით შეხვდა საკუთარ ორეულს. აღსანიშნავია, რომ შეხვედრამდე ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. ისინი ერთად დასვეს და ამან ისე აღაფრთოვანა მამაკაცები, რომ სელფი გადაიღეს.

მომხდარის თაობაზე ტვიტერში ერთ-ერთმა თვითმხილველმა ლი ბიტიმ ისაუბრა. მან ორეულების ავტოპორტრეტი გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ მამაკაცი მარჯვნივ, მისი ნაცნობის მეუღლეა, ხოლო მარცხნივ მყოფი მამაკაცი, უცნობი.

– დაუსრულებლად ვუყურებ ამ სურათს. გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. თითქოს ერთი და იგივე ადამიანი იყოს, – დაწერა კომენტარში ბიტიმ.

## სახლი ათას ფუნტად



დიდი ბრიტანეთის ქალაქ ჰერფორდის გარეუბნის მცხოვრებლებმა, სამშენებლო ნარჩენებისგან თავად ააგეს კომპაქტური ორსართულიანი სახლი, რათა საცხოვრებლის დაქირავება და მასში ფულის გადახდა აღარ დასჭირვებოდათ. პროექტის საერთო ღირებულებამ ათასი ფუნტი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ფართობის რაციონალურად გამოყენებით 29 წლის არქიტექტორმა კრისტიან მონტეზმა და 28 წლის ინტერიერის დიზაინერმა კირა პოუელმა საცხოვრებელში, რომლის ზომები 4X2 მეტრზეა რამდენიმე ოთახის განთავსება მოახერხეს: საძინებლის, სამზარეულოს, კაბინეტის და დასასვენებელი ზონის.

სახლის პატრონებმა დამოუკიდებლად შეკრეს საცხოვრებლის ჩარჩო ხის პანელებისგან, ხოლო ნარჩენებისგან ინტერიერის ზოგიერთი დეტალი და ავეჯი დაამზადეს. მათ ასევე ჩააყენეს შუშის კარი, რათა ბინის ფართი ვიზუალურად გაზრდილიყო. სახლის დამშვენებასა და ავეჯით გაწყობაში წყვილს დაეხმარა მეგობრებისა და მშობლების ნაჩუქარი და მათთვის გამოუსადეგარი ნივთები.

სამი მეტრი სიმაღლის სახლი ჰერფორდის გარეუბანში მდებარე ფერმაშია აღმართული, რომელიც პოუელის დედას ეკუთვნის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ზაზა ფაჩულია – ისევ ორმაგი დუბლი, ამჯერად ლეიკერსთან

## ქართველები უცხოეთში



დალას მავერიკსმა ლოს ანჯელესში ლეიკერსი 103:93 დასცა და ამ საქმეში ქართველის წვლილი დირკ ნოვიცკისთან ერთად უდიდესია.

ფაჩულია დალასელთა სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 29 წუთში 16 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. ზაზა იყო ერთადერთი მოთამაშე მავერიკსში, რომელმაც ორმაგი დუბლი მიითვალა.

ამ შედეგამდე ერთი მოხსნა დააკლდა სუპერვარსკვლავ დირკ ნოვიცკის, რომელმაც 25 ქულით საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. ფაჩულია ნოვიცკის შემდეგ დალასელთაგან შედეგიანობით მეორე იყო. ქართველმა ცენტრმა 8-დან 4 ორქულიანი და 10-დნ 8 საჯარიმო ჩააგდო.

ფაჩულიამ დაჩრდილა ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი როი ჰიბერტი, რომელიც ლოსანჯელესელებმა პაუ გასოლის შემცვლელად გუნდში ინდიანიდან მიიყვანეს. როი ლეიკერსის სასტარტო ხუთეულში იყო და 26 წუთში 4 ქულა, 8 მოხსნა და 2 დაფარება მოაგროვა.

2 მოგებითა და 1 მარცხით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზე იმყოფება. მომდევნო მატჩს ფაჩულიას გუნდი 4 ნოემბერს შინ, აღმოსავლეთის დაუმარცხებელ გუნდ ტორონტოსთან გამართავს.

ესპანეთის ჩემპიონატში გიორგი შერმადინის ანდორა დაძაბულ ბროლაში (72:78) დამარცხდა სტუმრად მადრიდში, ფუენლაბრადასთან.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და 25 წუთში 6 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა. ქართველმა ცენტრმა 2-დან 1 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო.

4 ტურის შემდეგ შერმადინის გუნდს 3 წაგება და 1 მოგება აქვს და 18-გუნდიან ლიგაში მე-13 ადგილზე იმყოფება.

ლიგის ერთ-ერთი ლიდერი კი თორნიკე შენგელიას ლაბორალ კუჩა შეიქნა, რომელმაც ზედიზედ მე-4 გამარჯვება გრან კანარიასთან იზეიმა – 77:67.

შენგელია ტრავმირებულია და არც ამჯერად უთამაშია.

მომდევნო ტურში, 8 ნოემბერს, ანდორა ბარსელონას დაუხვდება, ხოლო ლაბორალ კუჩა ასევე დაუმარცხებელ ვალენსიას ესტუმრება.

ბექა ბურჯანაძემ კი მორიგი შედეგიანი თამაში ჩაატარა. ესპანეთის რანგით მე-2 ლიგა ლებ-გოლდის მე-4 ტურში მისმა კორუნამ პალ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ნუკა ყარალაშვილი – „მის საქართველო 2015“



„მის საქართველო 2015“-ის დასკვნითი საკონკურსო ტური ბათუმში ჩატარდა. შერჩეული 21 ფინალისტი გოგონადან ჟიურიმ საუკეთესოები გამოავლინა და საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა.

სილამაზის კონკურსი „მის საქართველო“ კომპანია „იმიჯ-ცენტრის“ ორგანიზებით უკვე 12 წელია ტარდება საქართველოში და მასში ყოველწლიურად უამრავი გოგონა იღებს მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

წელს კონკურსში მონაწილეობდნენ ლამაზმანები მთელი საქართველოდან, თბილისიდან, რუსთავიდან, ბათუმიდან, ზესტაფონიდან, ქუთაისიდან, ქარელიდან და ზუგდიდიდან. ნუკა ყარალაშვილი, ნინა არჯევანიძე, ქეთი შეყელაშვილი, ნინი ოკუჯავა, ნანა დეისაძე, მეგი ფერცულიანი, მარიამ კულჯანიშვილი, სალი გიგაური, მარიანა მაქაძე, მარიტა გოგოძე, ელენე

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, გუშინ ისეთი ქალი დავითრიე, ქალის უნახავს გაგხდის.

– მერე?

– ყველაზე მაგარ მაღაზიაში წავიყვანე და ყველაზე ძვირფასი ქურქი ვუყიდე.

– მერე, მერე?

– მერე შევედით ყველაზე მაგარ საიუველირო მაღაზიაში და ბრილიანტის თვლებით გაწყობილი მაგარი ოქროს სამაჯური ვუყიდე.

– შემდეგ, რა მოხდა, შემდეგ?

– მერე ყველაზე მაგარ რესტორანში დავპატიჟე და ყველაზე მაგარი კონიაკით გავუმასპინძლდი.

– ე, ბიჭო, ბოლოს როგორ დამთავრდა თქვენი პაემანი?

– სახლამდე მივაცილე.

– ბიჭო, თუ არაფერს კადრებდი, ჩემი ცოლი წაგეყვანა, მადლობას მაინც გეტყოდი...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, გახსოვს, ერთმანეთი რომ გავიცანით, იმ დღეს, როგორი ჭექა-ქუხილი იყო, ისე ელავდა, რომ ღამეს დღესავით ანათებდა!

– ჰოო, მახსოვს, მე სულელმა კი ბუნების გაფრთხილებას ყური არ დავუგდე!

●●●

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– რომელი კატა დადის ორ თათზე?

– არ ვიცი.

– გარფილდი. რომელი თაგვი დადის ორ თათზე?

– არ ვიცი.

– მიკი მაუსი. რომელი იხვი დადის ორ თათზე?

– დონალდ დაკი.

– ნებისმიერი, სულელო!

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო, ეს ნივთების უფასოდ მიტანის სერვისია?

– დიახ.

– თუ შეიძლება, ბარიდან სახლში მიმიტანეთ!!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჰელოუინის დროს ვის განსახიერებას აპირებ?

– საკუთარი თავის და ყველას მხოლოდ სიმართლეს ვეტყვი.

– ???

– დამიჯერე, ეს ძალიან საშიშია!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მონასტერი ხულოს რაიონში; 2. მდინარე ციმბირში; 3. გადაჭარბებული სიყვარული ყველაფერი ფრანგულისადმი; 4. ნელტემპიანი სამეჯლისო ცეკვა; 5. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 8. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი; 9. მრავალხმიანობა მუსიკაში; 12. თაღლითი ბანქოს თამაშში; 14. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში; 16. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

**თარაზულად:** 1. დელტაპლანის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 6. იარაღის საწყობის ძველებური სახელწოდება; 7. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 9. დათქმული, საიდუმლო სიტყვა, ფრაზა; 10. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 13. იტალიელი არქიტექტორი, წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი; 15. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 17. გემის მდგრადობის გამაწონასწორებელი ტვირთი; 18. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; 19. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 20. მაღალხარისხოვანი, ფერადი მინის წარმოებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი, მეტალი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

